საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 31 დეკემბერი, 2013 წელი.

№253 (7381)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ, მრავალს დაესწარით!

მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გადადგა

ამის შესახებ განცხადება უწყების ვებგვერდზე გავრცელდა.

„ბოლო დროს საზოგადოებაში დასმული კითხვების გამო, რომლებიც გაჩნდა ჩემს ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, თავს ვალდებულად ვთვლი, პატივი ვცე და გავითვალისწინო საზოგადოების აზრი და დავტოვო მთავარი პროკურორის თანამდებობა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი და მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ჩემს ყოფნას არ გააჩნია სამართლებრივი პრობლემები, არ მინდა ეჭვქვეშ დადგეს იმ საქმეების გამოძიების ლეგიტიმაცია, რომელსაც ამ დროისთვის აწარმოებს მთავარი პროკურატურა. გარდა ამისა, ჩემი თანამდებობაზე ყოფნით არ მინდა ჩრდილი მიადგეს პრემიერ-მინისტრს და იმ პოლიტიკურ ძალას, ვისთვისაც მთავარია ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება“, — ნათქვამია განცხადებაში.

შესანიშნავი სამეული მაგთისატზე ③

73500-ლარიან ჯიპს აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრიც ყიდულობდა ⑥

დღის ამფრაზურიდან

ხალხში გაგონილი

შევეწიოთ ყოფილ მერს, ნუ დავაგირავებინებთ სახლს!..

— სხვა გზა არ არის, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები უნდა გავერთიანდეთ და ამ დიდად დაზარალებულ, გაღატაკებულ და უსამართლოდ დაჩაგრულ, უსასხსრო უგულავას, თბილისის ყოფილ მერს, ყოფილ კმარელს, როგორმე შევუგროვოთ ის 50 ათასი ლარი, სასამართლომ გირაოს სახით რომ მიუსაჯა. განა მეტი პატიოსნება გაგონილა, კაცი თითქმის ათი წელიწადი ქალაქის მერი იყო და 50 ათასი ლარი ვერ დაუგროვებია. იძულებული გახადეს საწყალი, რომ სახლი დაგირაოს.

— ასეა, ბატონო, ხალხის არჩეული რა, ვითომ ხალხის ფულს შეჭამდა?!. სირცხვილია ასეთი ბრალდება!..

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

საკონსტიტუციო კომისია მუშაობას იანვრის მეორე ნახევრიდან შეუდგება

საკონსტიტუციო კომისია მუშაობას იანვრის მეორე ნახევრიდან შეუდგება, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, საკონსტიტუციო კომისია კონსტიტუციური ცვლილებების ან კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს პარლამენტს 2014 წლის 1 სექტემბრამდე წარუდგენს.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, საკონსტიტუციო კომისიის გარდა გათვალისწინებულია მრჩეველთა საბჭოს შექმნაც.

— მრჩეველთა საბჭოში მოვიწვევთ სხვადასხვა პროფესიის ძალიან ბევრ წარმომადგენელს. კონსტიტუცია არ არის მხოლოდ იურისტების საქმე, მეტიც, იურისტების საქმე არის მხოლოდ ბოლო ეტაპზე, როცა ზუსტი იურიდიული ფორმულირებაა მოსაძებნი, კონსტიტუცია ესაა სახელმწიფოს შესახებ დოკუმენტი, სახელმწიფო კი რთული და კომპლექსური თემაა, აქ არიან საჭირო ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, მართვის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და ა.შ. ბევრი ადამიანის ჩართულობაა საჭირო, ეს კი მიგვიყვანს იმ შედეგამდე, როცა თითოეულ სიტყვას თავისი დატვირთვა ექნება, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

პარლამენტი სერიოზულად შეამოწმებს, თუ ვინ როგორ გახარჯა საბიუჯეტო თანხები

საქართველოს პარლამენტი ძალიან სერიოზულ შემოწმებას აპირებს, თუ ვინ როგორ გახარჯა დეკემბრის განმავლობაში საბიუჯეტო თანხები. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— ჩვენ კი არ უნდა გავღიზიანდეთ იმაზე, რატომ სვამს კითხვას ვინმე - სჭირდებოდა თუ არა თუნდაც მთავარ პროკურორს 170 ათასიანი ახალი მანქანა; არ უნდა გავღიზიანდეთ იმაზე, რომ კითხვა ისმება. საჭიროა ამაზე მკაფიო პასუხი. თუ ეს არის სპეციალური ჯავშანმანქანა, რომელიც სჭირდება მთავარ პროკურორს უსაფრთხოებისთვის, მაშინ შეიძლება კიდევ ერთი ამდენია საჭირო, რომ მართლაც უსაფრთხოება გარანტირებული უნდა იყოს. თუ ეს არის დამატებითი კომფორტი, მაშინ აქ სხვა ტიპის კითხვები უნდა დაისვას.

სხვათა შორის, ამ ტიპის ხარჯებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ძალიან სერიოზულ შემოწმებას აპირებს მის ხელთ არსებული ბერკეტებით იმის თაობაზე, თუ ვინ როგორ გახარჯა დეკემბრის განმავლობაში საბიუჯეტო თანხები, — განაცხადა უსუფაშვილმა და აქვე აღნიშნა, რომ პარლამენტს ამის ბერკეტები აქვს.

დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტარებმა დაუხარჯავი თანხის მეცამეტე ხელფასად დარიგებაც მოითხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ერევანში მისი ვიზიტიც გაიხსენა და განაცხადა, რომ იქ ნათხოვარი ჯიპით მოუწია წასვლა.

— ამას წინათ ერევანში მომიწია გამგზავრება კოლეგასთან შესახვედრად. დავრეკე მთავრობაში და ნათხოვარი „ჯიპით“ წავედი იმიტომ, რომ ძალიან ცუდი ამინდები იყო ორი კვირის წინ. ასე რომ, კი, საჭიროა მაღალი გამავლობის მანქანები, მაგრამ არა იმისთვის, რომ ზამთარ-ზაფხულ იმითი ვიაროთ. შეიძლება იყოს სპეციალური პარკი და საჭიროების შემთხვევაში იმით ვისარგებლოთ, — დასძინა უსუფაშვილმა.

ბავშვებისთვის თავდაცვის მინისტრის ნაძვის ხე მოეწყო

ბავშვებისთვის თავდაცვის მინისტრის ნაძვის ხე მოეწყო. ღონისძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრში საზეიმოდ გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ალასანიას სახელით მიღება 2008 წლის აგვისტოს ომსა და ISAF-ის საერთაშორისო მისიაში დაღუპული და მძიმედ დაშავებული, ასევე 2004 წლის საბრძოლო მოქმედებებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის მოეწყო.

დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები, მშობლებთან ერთად სპორტის სასახლეში იმყოფებოდნენ, სადაც საახალწლო ზღაპარს — „ყინულის დედოფალი“ — დაესწრნენ.

ვანო მერაბიშვილი სასამართლოს შეურაცხყოფისთვის 500 ლარით დაჯარიმდა

ვანო მერაბიშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა, მანამდე კი, ყოფილი პრემიერი სასამართლოს შეურაცხყოფისთვის 500 ლარით დაჯარიმდა.

საქალაქო სასამართლოში 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესზე მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ შესვენების დროს, როდესაც დარბაზში იმყოფებოდნენ მხარეები, ასევე სასამართლო სხდომის მდივანი და ბრალდებული მერაბიშვილი, ბრალდებულმა სხდომის მდივანს შეურაცხყოფა მიაყენა. მოსამართლის თქმით, მერაბიშვილმა სხდომის მდივნის მისამართით უხამსი და ბილწი სიტყვები გამოიყენა.

მოსამართლის განმარტებით, სწორედ აქედან გამომდინარე სასამართლოს უპატივცემულობის გამო მერაბიშვილი ჯარიმდება 500 ლარით. ამასთან, მერაბიშვილმა მოსამართლისგან გაფრთხილებავ მიიღო.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● თოვლის პაპა,

დაარეგისტრირე ჩვენი ქვეყანა ერთ დიდ, მაღალმთიან-დაბლაზღვიან არასამთავრობო ორგანიზაციად, სახელწოდებით: „სულ ხელისგულზე სატარებელი“, „მოგვიზიდე“ ბლომად თანხები. იმდენი, რომ აღარც სწავლა დაგვჭირდეს, აღარც მუშაობა. კარგი ვჭამოთ, კარგი ვსვათ, კარგად ვიჯიპგულაოთ, ვატაროთ ბრიფინგები, ვიტრაკანოთ ბრტყელ-ბრტყელები და ვარიგოთ ერთმანეთს ჭკუა...

წელიწადში ერთხელ შენც გაგიხსენებთ ხოლმე. აბა ჰე, მიხედე ახლა საქმეს!

● სამართალი ტოიოტა პრადოთი დადის! (იაპონური ანდაზა)

● პრეზიდენტმა კომპიუტერის ჩანთების ქსოვა რომ დაიწყოს, ბიუჯეტიც იხეირებს და აღარც ჩასაფრებულ ინტრიგანებს ექნებათ სალაპარაკო!

● სამართალი დიეტაზეა. პურს საერთოდ აღარ ჭამს.

● რამეთი დანიშნეთ ეს პოლიტელიტა... ვეღარ ვარჩევ ნაციონალებს და ოცნებისტებს ნატო გელაშვილის სიმღერებივით ყველა დეკემბერი მგონია.

● როგორ ვიფიქრებდი რო კიდე ოოოდესმე გავიგებდი კითხვას „ნეტა ნაციონალები დაბრუნდებიან?“ ყველაზე ცუდი ის არის რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით ამ კითხვას აქვს არსებობის უფლება (იშო კაკ აქვს).

● თოვლის პაპა, საქმეებს რომ მოითავებ, ტომარაც დაგიცარიელდება და წასვლას დააპირებ, რამდენიმე ათეულ კაცს ჩაგისვამთ ტომარაში, გაიყოლე ლაპლანდიაში (იქ გაუშვი თუ გინდა) და მაღარიჩი ჩვენზე იყოს.

● ისე რომ იცოდეთ, სანტა კლაუსი კოკა კოლას პერსონაჟია და არა ახალ წელს საჩუქრების მომტანი ზღაპრული პერსონაჟი... ფრანგებს სანტა კლაუსი არა ყავთ და არც არასოდეს ეყოლებათ, უყვართ თავისი ერი, ენა, კულტურა, საშობაო ზღაპრული პერსონაჟი „პერ ნოელი“ და იმიტომ... ასევე არც ბელგიელებს ყავთ სანტა... იქ „სან ნიკოლა“ (წმინდა ნიკოლოზი) მოდის საშობაოდ და საჩუქრები მას მოაქვს... აი ჩვენ რამ გადაგვრია ამ სანტა კლაუსზე, ესეც ხო ჯიპი არაა, კაცო და აიფონ ხუთი ა?.. გვყავს ქართველებს შესანიშნავი ზღაპრული პერსონაჟი „თოვლის პაპა“ და რა ოხრობა გვეტაკა და საკუთარი, ენის, კულტურის და ტრადიციების უპატივცემლობა ვერ გავიგე ვერაფრით რაა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ მკითხველები გვილოცავენ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ, დიდი პატივისცემითა და მომავლის საუკეთესო წარმატებების სურვილებით, გულწრფელად მივულოცო რედაქციის თითოეულ თანამშრომელ მოღვაწეს დამდეგი 2014 წელი.

თქვენი გაზეთი სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას, იგი ჩვენი სამშრობლოს წინააღმდეგობრივი და რთული წინსვლის მაჯისცემას ყოველთვის სიმართლით ეხმიანება, შეუპოვრობით და მაღალი პროფესიონალური პასუხისმგებლობით ეკიდება.

ჩემთვის ყოველთვის საამაყო იყო და არის, ვიბეჭდებოდე თქვენი მაღალინტელექტუალურად და მაღალზნეობრივად მოღვაწე ჟურნალისტების გვერდით.

პატივისცემით
რეზო ფაჩულია
30/XII.2013 წ.

◎ ხმა ერისა

საახალწლო სურვილების აკიდო

რით იყო მნიშვნელოვანი 2013 წელი, რას მოელით მომავალი წლისგან და რას უსურვებდით ქართველ ხალხს? — ამ კითხვებით მივმართეთ ჩვენს რესპონდენტებს.

რამაზ ყურაშვილი (დიაბეტოლოგი) — 2013 წელი იმ მხრივ იყო საინტერესო, რომ გავაცილეთ ძველი ხელისუფლება და საქართველო გადარჩა. თავიდან მოვიშორეთ პრეზიდენტი, რომელიც ერთმანეთში ურევდა ილიასა და აკაკის, ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად. ამდენად, პოლიტიკურად მართლაც მნიშვნელოვანი წელი იყო. რაც შეეხება ჩემს პროფესიულ საქმიანობას, მართლაც რომ წარმატებული იყო დიაბეტის ეროვნული ცენტრი მონაწილეობდა ყველა საერთაშორისო მნიშვნელობის კონგრესში. გახლდით ამერიკის დიაბეტის ასოციაციის კონგრესზე ჩიკაგოში, დიაბეტის კვლევის ევროპის ასოციაციის კონგრესზე ბარსელონაში, ბოლოს ავსტრალიაში ჩატარდა დიაბეტის ფედერაციის კონგრესი, სადაც ყველაზე მეტი რაოდენობის ნაშრომი წარვადგინეთ. დავნერგეთ ახალი მეთოდების ადრეული დიაგნოსტიკა დიაბეტის... მოკლედ ძალიან წინ წავიწიეთ თანამედროვე ტექნოლოგიების თვალსაზრისით. რაც შემეხება პირადად მე, ტელევიზია „ქართულში“ გადაცემათა ციკლს ვუძღვები, სადაც ვიწვევთ საინტერესო ადამიანებს და ვმართავთ დისკუსიებს.

დარწმუნებული ვარ, რომ 2014 წელი აღმშენებლობის წელი იქნება, იხვეწება სამოქალაქო საზოგადოება და ვფიქრობ ბატონ ბიძინას მონაწილეობით ნამდვილად ქართულ ღირსეულ სახელმწიფოს ავაშენებთ.

რას ვუსურვებ ქართველ ხალხს? — მუდმივ კონტროლს მთავრობაზე, მთავრობას კი იმის შეგნებას, რომ რასაც აკეთებს, აკეთებს ხალხის სასარგებლოდ და არა საკუთარი ჯიბის შესავსებად. უნდა ახსოვდეს, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!“

მოკლედ, როგოც ექიმი, ჩემს ხალხს ვუსურვებ ნორმოგლიკემიას... ბევრად მეტ ხელფასს, ვიდრე სისხლში შაქრის დონეს!

მარიკა კვალიაშვილი (კომპოზიტორი): ძალიან ნაყოფიერად დაიწყო ჩემთვის 2013 წელი, ბევრი ახალი ნაწარმოები შევქმენი, მაგრამ... უეცრად საშინელი ტკივილი მარგუნა განგებამ. 29 წლის შვილიშვილი გარდამეცვალა. იმდენად დიდია ჩემთვის სულიერი ტრავმა, რომ რიცხვი 13-ის გაგონებაც მზარავს. ყველაფრის მიუხედავად 2014 წლიდან ველოდები ყველაფერს კარგს, რაც სიხარულს მიანიჭებს ადამიანებს. ქართველ ხალხს ვუსურვებ ზუსტად იმავეს, რასაც ჩემი ოჯახის წევრებისათვის ვისურვებდი. ბედნიერებას, სიხარულს, ხვავს, ბარაქას... უამრავ სიყვარულს.

არჩილ ხომასურიძე (გინეკოლოგი): ნორმალური წელიწადი იყო, რუტინული, თითქოს არაფრით გამორჩეული... ჩემი დიდი ოცნებაა შევქმნა ჟორდანიას ინსტიტუტის ღირსეული ალტერნატივა და იმედია 2014 წელს ამას მოვახერხებ. ქართველ ხალხს უპირველესად სჭირდება მშვიდობა და სტაბილურობა, ამდენად ჩემი სურვილიც ეს არის. ექიმი ნაკლებად დასჭირვებოდეთ!

მე თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ, ძალიან დიდ პატივს გცემთ. გისურვებთ მკითხველთა სიმრავლეს, წარმატებებს, საინტერესო მასალების სიუხვეს...

მზეო ბერუაშვილი (პედაგოგი): საინტერესო ცვლილებები მოხდა ქვეყანაში, რაც, აისახა კიდეც განათლების სისტემაზე. ზოგადად ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა, რაც იმის იმედს მაძლევს, რომ პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის საინტერესო ცვლილებებს მოიტანს. 2014 წლიდან კიდევ უფრო მეტ მნიშვნელოვან ინიციატივებს ველოდები და რაც მთავარია, იმედია, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება პედაგოგების დიდი პრობლემა — ხელფასი. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ღირსეულ ანაზღაურებაზე.

ვისურვებ, რომ ჩემი აღსაზრდელები უფრო ჭკვიანები იყვნენ, ყურადღებიანები, დინჯები, დალაგებულ და სტაბილურ გარემოში მოუწიოთ სწავლა.

ქართველი ხალხისთვის ვისურვებ რომ ყველა ჩაფიქრებული კეთილი სურვილი აუხდეთ. დაე, 2014 წელიწადი იყოს ოცნებების ასრულების წელი! გილოცავთ შობა-ახალ წელს!!!

იხ. 4 გვ.

◎ საახალწლო სიურპრიზი კინომოყვარულთათვის

შესანიშნავი სამეული მაგთისატზე

მაგთიკომი მთელი წელი რომ ათასგვარი სასიამოვნო შემოთავაზებებით ანებივრებდა მოქალაქეებს, ეს არახალია და ყველასათვის ცნობილია, მაგრამ წლის ბოლო დღე მართლაც სიურპრიზისთვის შემოინახა და მაგთისატის ერთგულ მაყურებელს ერთბაშად სამი ახალი არხი შესთავაზა, რომლის პირველი ჩვენებაც 30 დეკემბრის საღამოს 8 საათზე შედგა. ესენია „მაგთი ჰიტი“, „მაგთი კინო“ და „ჩვენი მაგთი“.

მაგთისატის აბონენტებს საშუალება მიეცემათ **„მაგთი ჰიტის“** საშუალებით 21-ე საუკუნის ყველაზე პოპულარული ფილმები ქართულ ენაზე იხილოს. **„მაგთი კინო“** კი მაყურებელს ბოლო ოცწლეულის პოპულარულ და მაღალშემოსავლიან ფილმებს ასევე ქართულ ენაზე შემოგვთავაზებს, ხოლო მესამე არხი — **„ჩვენი მაგთი“** ქართული კინოს მოყვარულთათვისაა გამიზნული და ქართულ მხატვრულ ფილმებთან ერთად დოკუმენტური კინოს შედევრებსაც შემოგვთავაზებს.

ამ სიახლეების შესახებ მაგთიკომის ოფისში გამართულ წარდგინებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მასმედიის წარმომადგენლები, დაწვრილებით ისაუბრეს პროექტის დირექტორმა ბატონმა **გიორგი წიქარიშვილმა** და პროექტის კურატორმა ქალბატონმა **ნანა ზარდიაშვილმა**.

მეტად სასიამოვნო სიახლეა ის, რომ მაგთისატმა შეძლო უამრავი ფილმი გაეხმოვანებინა ქართულ ენაზე მრავალხმიანი საშუალებით (აქამდე ფილმების უმრავლესობას ერთი ან ორი მსახიობი ახმოვანებდა, ხშირად იყო სინქრონული თარგმანი). მაღალი ხარისხითა და გემოვნებიანად, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული გახმოვანებით ქართველ მაყურებელს შესაძლებლობა ექნება იხილოს მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიუჯეტითა და მაღალი შემოსავლით გადაღებული კინოჰიტები, პრესტიჟული კინოფესტივალების „ოსკარისა“ და „გლობუსის“ გამარჯვებული და ნომინანტი კინოპროდუქცია. სწორედ ამ კრიტერიუმებით შეირჩა „მაგთი ჰიტისა“ და „მაგთი კინოს“ ფილმები. მაყურებელს საშუალება მიეცემათ ნახონ საავტორო, არაკომერციული კინოშედევრები, მათ შორის ისეთი ცნობილი რეჟისორების ნამუშევრები, როგორებიც არიან ჯარმუში, ტრიერი, ჰანეკე და სხვები.

რაც შეეხება „ჩვენი მაგთის“ არხს, იგი სრულიად დაეთმობა არამარტო პოპულარულ ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, არამედ თანამედროვე ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებსაც. ბევრი მათგანი თანამედროვე მაყურებლისთვის უცნობია. პროექტის ხელმძღვანელების ძალისხმევით ისეთი საარქივო, უნიკალურ დოკუმენტალისტიკასაც გავეცნობით, რომელზეც იშვიათად, ან საერთოდ არ მიუწვდებოდათ ხელი კინომოყვარულებს.

თავდაპირველად განზრახულია მაყურებელს მიაწოდოს სხვადასხვა ფილმები და არა მარტო ერთი და იგივე ფილმების გამეორება. სამივე არხის მაყურებელს საშუალება ექნებათ თვეში ოთხმოცდაათამდე ფილმის ხილვისა.

საანონსო ბლოკის საშუალებით წინასწარ მოხდება სასურველი ფილმების შერჩევა. რაც მთავარია, ყველა ფილმი გავა სარეკლამო ჭრების გარეშე, რაც მაყურებელს საშუალებას მისცემს სრულად და წყვეტის გარეშე უყუროს ფილმს.

დაგეგმილია მრავალი ფილმის გახმოვანება, რომელიც პროფესიონალი და გამოცდილი სპეციალისტების მიერ იქნება სელექციის საშუალებით შერჩეული. მაღალი ღირებულების მხატვრული ფილმები ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული.

მთელი თვის განმავლობაში მხოლოდ 2 ლარად საშუალება გექნებათ თქვენს მიერ შერჩეულ ერთ არხზე იხილოთ ასამდე ფილმი ქართულ ენაზე. სამივე არხის ერთდროულად ჩართვის მსურველებს თვეში სამასამდე ფილმის დაგემოვნება 8 ლარად ექნებათ შესაძლებელი.

ასე რომ, მაგთისატის „შესანიშნავი სამეულის“ წყალობით მსოფლიოს კინოშედევრები დღეიდან უკვე თქვენს „განკარგულებაშია“.

მაგთიკომი ქართულ საქმეს აკეთებს და თავის ერთგულ მოქალაქეებს მომავალ წელსაც უამრავ სიურპრიზს შესთავაზებს.

მამუკა ვაშაკიძე

◎ თვალსაზრისი

დაუვიწყარ ფერთა ათინათი

ახალი, 2014 წლის წინა შაბათს ქუთაისში, კათოლიკეთა იმ უბანში, სადაც 110 წლის წინათ, 1903 წელს დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ფელიქს ვარლამიშვილმა, მისსავე სახელობის ქუჩაზე, საგამოფენო დარბაზ „ვარლაში“, მსოფლიოსთვის ამავე ფსევდონიმით ცნობილი მხატვრის საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოს წარუძღვა იუბილარის ძმისწული, ქალბატონი ნატო ვარლამიშვილი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საამაყო ბიძის ნაწარმოებთა და მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მონაცემების მოძიებაში. სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ აუდიო და ვიდეოტექნიკის გამოყენებით საღამოს მონაწილეები გაეცვნენ იუბილარის ბავშვობისა და ყრმობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში სწავლის, აგრეთვე ემიგრაციაში ცხოვრების ამსახველ კადრებს და მოისმინეს მისი ხმაც. იგი მხატვრის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაიწერა რადიოსადგურ „თავისუფლების“ქართულენოვან გადაცემათა იმდროინდელმა მთავარმა რედაქტორმა,საფრანგეთსა და გერმანიაში გამომავალი ჟურნალების „მებრძოლი საქართველოსი“, „მესამე დასის“ მთავარმა და გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ საზღვარგარეთელმა რედაქტორმა, საქართველოს საპატიო მოქალაქემ, სულგანათლებულმა კარლო ინასარიძემ.

დიდი ფერმწერის საიუბილეო საღამოზე უდიდესი მოკრძალებით გაიხსენეს მისი უმრწემესი ძმა, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვანო ვარლამიშვილიც. აღინიშნა, რომ საფრანგეთში, „იუნესკოს“ ეგიდით 1996-ის მაისში გამართული „ქუთაისის დღეების“ მიმდინარეობისას, ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე, მხატვრის სამუდამო განსასვენებლის გვირგვინით შემკობის დროს, ივანე ვარლამიშვილს ქალაქის იმდროინდელმა თავკაცმა, ბატონმა თემურ შაშიაშვილმა ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მიულოცა და სათანადო დოკუმენტაციაც იქვე გადასცა.

დაუვიწყარ ფერთა ათინათი, რომელიც ვარლას საიუბილეო საღამოზე იგრძნობოდა, იმის თვალნათლივი დასტურია, რომ შთამომავლობა ცდილობს, დავიწყების ბურუსს გამოსტაცოს თითოეული ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელსაც საბჭოური რკინის ფარდის გამო ფაქტობრივად არც კი ვიცნობდით.

ალ. შენგელია,
„სრ“ საკ. კორ.
ქუთაისი

ახალი ბანკნოტები ძველი მინისტრის ფაქსიმილეთი

როგორც მთავრობის კანცელარიიდან იუწყებიან, 27 დეკემბრიდან მიმოქცევაში გავიდა ახალი 50-ლარიანი და 5-ლარიანი ბანკნოტები. 2013 წლის ახალი ბანკნოტების მიმოქცევა წინა წლების გამოშვების იგივე ნომინალების ბანკნოტების პარალელურად მოხდება. საქართველოს ბანკი განმარტავს სიახლეს და აღნიშნავს, რომ ახალი ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება, ძველი მიმოქცევისათვის უვარგისი კუპიურების სანაცვლოდ მოხდება.

მთავრობა და ეროვნული ბანკი ყოველივეს ჩვეულებრივ მოვლენას უწოდებს, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით მომარაგებას.

თავის დროზე, წინა ხელისუფლების პირობებში ემისია გამომდინარეობდა მაკროეკონომიკური საპროგნოზო გათვლებიდან. ეს პროცესი 2012 წლის ივლისშია დაწყებული, ჯერ კიდევ ნაცების მიერ დანიშნული ფინანსთა მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის დროს. ამის გამო ახალ ბანკნოტებზე, შესაბამისად ალექსანდრე ხეთაგურის ფაქსიმილეა, აღნიშნავენ საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკში. ახალი წლიდან კი ახალი კუპიურები მთელი ძალით შევა მიმოქცევაში.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

წლეულს 70 ჟურნალისტი დაიღუპა

სულ მცირე 70 ჟურნალისტი დაიღუპა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 2013 წელს. ამის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ ავრცელებს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 29 ჟურნალისტი სირიაში სამოქალაქო ომის გაშუქებისას დაიღუპა, 10 ჟურნალისტი ერაყში მომხდარ აფეთქებებს ემსხვერპლა, 6 ჟურნალისტი კი აგვისტოში ერაყში მომხდარი შეტაკებების დროს დაიღუპა.

ამასთან, „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ მიერ გავრცელებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ დანარჩენები კი კორუფციული სკანდალების, ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებული და სხვა რთული პრობლემების გაშუქებას ემსხვერპლნენ — რუსეთში, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, ბანგლადეშში, პაკისტანსა და ფილიპინებზე.

— შუა აღმოსავლეთი ჟურნალისტთა სასაკლაოდ იქცა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ზეწოლა უნდა მოახდინოს ამ ქვეყნების ხელისუფლებასა და შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, რომ მათ პატივი სცენ ჟურნალისტთა სამოქალაქო სტატუსს, ჟურნალისტთა მკვლელები კი გასამართლდნენ, — განაცხადა კომიტეტის ხელმძღვანელმა რობერტ მაჰონიმ.

ახალი წლის დღეებში უნალექო ამინდი შენარჩუნდება

საქართველოში ახალი წლის დღეებში უნალექო ამინდი შენარჩუნდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განუცხადა, 7 იანვრამდე აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღისით მოსალოდნელია -6-11 გრადუსი; მთაში -2-7, ხოლო მაღალმთაში 0-0;5 გრადუსი. ღამით დაფიქსირდება ყინვა. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -10; -5; კახეთში -5;-3; მთებში -13;-8; ხოლო მაღალმთაში -16;-11.

დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით მოსალოდნელია -1-6; ზოგან -3 გრადუსამდე, კერძოდ, სამეგრელოსა და ზუგდიდში. მთაში იქნება -8;-3 გრადუსი ყინვა, ხოლო მაღალ მთაში -13;-8.

ამასთან, დასავლეთ საქართველოს ბარში დღისით საშუალოდ ტემპერატურა იქნება -7-12 გრადუსი; მთაში -3-8; ხოლო მაღალმთაში 0-5 გრადუსი. თბილისში ახალი წლის დღეებში და შემდეგ ჰაერის საშუალო ტემპერატურა ღამით -4; -2 გრადუსია მოსალოდნელი, ხოლო დღისით -7-9. ამინდის პროგნოზში აღნიშნული ყინვები ნორმალურია. მთლიანი თვის კლიმატური პირობების პროგნოზით სხვა წლებთან შედარებით იანვარი თბილი თვე იქნება.

ინტერპრესი

რას ველოდით, რა მივიღეთ?!

ხვალ უკვე ახალი წელია.

დღეს ღამის თორმეტ საათზე 2013 კარს მიიხურავს და ისტორიის კუთვნილება გახდება. მაშინვე შემოაბიჯებს 2014 და ახალ იმედებს მოგვიტანს. ჩვენ კი სანამ საახალწლო სუფრას მივუსხდებით, აივანზე გავალთ. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ავხედავთ. გავიხსენებთ წარსულის შეცდომებს, გავაანალიზებთ წარმატებებს და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის განსახორციელებელ გეგმებს დავსახავთ.

როგორი დასაწყისია? რაღაც ამაღლებული, ოდნავ სევდანარევი და მომავლის რწმენის პათოსით გაჟღენთილი. აბა რა. საახალწლო წერილს სხვაგვარად ხომ ვერ დავიწყებდი? ჰოდა, როგორც მიხვდით, ამ წერილში სწორედ გასულ 2013-ზე და მომავალ 2014-ზე უნდა ვილაპარაკო და როგორც პათეტიკურ შესავალში ვთქვი, ძალიან მოკლედ შევაფასო გასული წელი და მომავლის პერსპექტივები.

ალბათ, ბევრს გინახავთ ჰოლივუდური მხატვრული ფილმი „როგორ მოიპარა შრეკმა შობა“, რომელშიც მთავარ როლს შესანიშნავი მსახიობი ჯიმ ქერი ასრულებს. ამ წერილის სათაურად ამ ფილმის სახელწოდების მცირე ინტერპრეტაცია დავარქვი. დავარქვი იმიტომ, რომ... მოდით, ეს წერილი ჩაიკითხეთ და თავად მიხვდებით.

მაშ ასე. დავიწყოთ!

ხშირად დამიწერია, რომ ძალიან უცნაური ქვეყანაა საქართველო. ძალიან უცნაური და, ბუნებრივია, რომ ჩვენ, ქართველებიც საკმაოდ არაორდინალურად და ხშირ შემთხვევაში, როგორც ჩვენი პრემიერ-მინისტრი იტყვის ხოლმე, „არაადეკვატურად“ ვიქცევით.

დავიწყებ თუნდაც იქიდან, რომ ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში წელთაღრიცხვის და საქართველოს ისტორიის ათვლის თარიღი ორჯერ შევცვალეთ. ერთხელ 2003 წლის 23 ნოემბერს, ხოლო მეორედ 2012 წლის პირველ ოქტომბერს.

ერთი შეხედვით 2013 წელი მართლაც საკმაოდ „არაადეკვატური“ იყო. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, არაადეკვატური იყო იმ მოლოდინთან შედარებით, რაც ზუსტად ერთი წლის წინათ გვქონდა, მაგრამ, თუ კარგად გავაანალიზებთ იმ მდგომარეობას, რაც 2012 წლის 31 დეკემბერს გვქონდა, სხვა შედეგი არც უნდა მიგვეღო.

მოდით ვნახოთ, რას ველოდით ზუსტად ერთი წლის წინათ და რა მივიღეთ.

ერთი წლის წინათ გვყავდა თოვლის ბაბუა, რომლის დიდი იმედი გვქონდა და რომლისგანაც სხვადასხვა საჩუქარსა თუ ოცნების ახდენას ველოდით.

უპირველეს ყოვლისა, ველოდით სამართლიანობის აღდგენას. ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური, ანტინორმალური ცნობიერების დამკვიდრების შეწყვეტას. ველოდით ყველა დამნაშავის დასჯას. ველოდით თავისუფალ, სამართლიან სასამართლოს. ველოდით ეკონომიკური, და ცხადია, სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. ველოდით ისეთ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც ქვეყნის წინსვლისთვის იქნებოდა მიღებული. ისეთ საკადრო პოლიტიკას, რომელიც ძირეულად შეცვლიდა ცხრა წლის განმავლობაში გამეფებულ წესს და ისეთ ხელისუფლებას, რომელიც საქმით იზრუნებდა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაზე. ველოდით გარღვევას საგარეო ურთიერთობებში. თანაბარ პარტნიორულ შეთანხმებებს ევროპის კავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თუ რუსეთთან. ველოდით..., ველოდით...

რა მივიღეთ?

პირველ რიგში, მივიღეთ ე.წ. კოჰაბიტაცია, რომელმაც დიდი შავი ხაზი გადაუსვა თავისუფალ სასამართლოს და, ცხადია, სამართლიანობის აღდგენას.

მივიღეთ გაუარესებული ეკონომიკა, გაუფასურებული ლარის კურსი, საარსებო მინიმუმის ნახევრის ტოლი პენსია. არ შემოსულა არც ერთი ინვესტიცია. დაპირებული 200 საწარმო არსად ჩანს. ფასების შემცირება, მხოლოდ ძალიან ძვირადღირებულ ნივთებს შეეხო და ისიც პერმანენტული აქციების ფორმატში (არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამგვარი აქციების მომბეზრებელი რეკლამები, მოსახლეობის საშინელ გაღიზიანებას იწვევს). რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს, საწვავის თუ მედიკამენტების ფასებს, ისინი შემცირების ნაცვლად გაიზარდა.

ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი კანონების ნაცვლად, საქართველოს

როგორ მოიპარა შრეკმა ახალი წელი

პარლამენტმა მიიღო კანონები ე.წ. ბუსუსებიანი პრეზერვატივის, ჩოხა-ახალუხის, ურმების მუხრუჭის, მსხვილფეხა საქონლის საავტომობილო გზაზე გადმოსვლის შემთხვევაში მეხრის დასჯის შესახებ (ისიც არ იციან, რომ „მეხრის“ ნაცვლად „მწყემსი“ უნდა ჩაეწერათ).

მივიღეთ საკადრო პოლიტიკის სრული კრახი არა ხოლოდ პირველი პირების დონეზე (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ნაცების რეჟიმის ბევრი ჯალათი დასჯის ნაცვლად დაწინაურდა, ბევრი კი მენტორული ტონით გვარიგებს ჭკუას და გვამუნათებს. სამინისტროები, დეპარტამენტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კვლავ ნაცმოძრაობის „მეხუთე კოლონითაა“ დაკომპლექტებული.

მივიღეთ საგარეო პოლიტიკის სრული სტაგნაცია. თანაბარი პარტნიორობის ნაცვლად მივიღეთ რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაცივება და 1025-გვერდიანი „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება“, რომელშიც ქართული მენტალიტეტისთვის, ქართული ცნობიერებისთვის, მართლმადიდებლობისთვის უამრავი მიუღებელი პუნქტია შეტანილი, რომელიც თავიდან ბოლომდე არ წაუკითხავს საქართველოს არც ერთ მოქალაქეს და რომელსაც „შალახოს“ აკომპანიმენტით მოაწერა ხელი ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ხალხზე მზრუნველი ხელისუფლების ნაცვლად მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც „ტოიოტა პრადოს“ ჯიპებსაა დახარბებული, რომელიც, ერთი მხრივ, უარს აცხადებს პრემიებზე, მაგრამ გეომეტრიული პროგრესიით იზრდის ხელფასებს. მივიღეთ მთავრობა, რომლის წარმომადგენლებს ავტოპარკინგიდან რესტორნამდე ოციოდე მეტრის ფეხით გავლა ეზარებათ და თავიანთი ჯიპებით ბავშვების სათამაშო მოედნებზე გადადიან.

მივიღეთ უამრავი ისეთი რამ, რასაც 2012 წლის 31 დეკემბერს ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ ვნახავდით.

ძალიან მძიმე შეფასება გამომივიდა, არა? თანაც ამ ახალი წლის წინ, მაგრამ რა ვქნა. რეალობა ასეთია და თავის მოტყუების ყოველი მცდელობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალ გეგმებზე, ახალ პერსპექტივებზე უნდა ვიფიქროთ, უარეს შედეგს მოგვიტანს.

მაპატიეთ ამ ცოტა მკაცრი შეფასებისთვის, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს, რომ უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი ქალბატონი ირინა იმერლიშვილი, ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი 1500 ლარად ღირებული მობილური ტელეფონით აიფონ 5s-ით (2013 წლის გამოშვება „ტოიოტა პრადოზე“, „მაკბუქ პრო“, „აიპად ეარსა“ და „ლეპტოპის“ ჩანთაზე აღარაფერს ვამბობ), მარტო თანამშრომლებს დაელაპარაკება და მით უმეტეს იმაში, რომ ამ ზარების განხორციელება შედარებით ნაკლებფასიანი ტელეფონით შეუძლებელია.

მაპატიეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიჯერებ იმას, რომ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის ბიუჯეტმა რესტორან „წისქვილში“ 4527.30-ლარიანი სუფრა უნდა უკისროს. ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ აქედან 850.2 ლარი მუსიკის მომსახურებაა (ისე რა მაგის პასუხია და, რავარი ხელის გაშლა და გასმა-გამოსმა ცოდნიათ ჩვენს ფინანსისტებს!).

ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ ნაძალადევის რჩეულს და ხმას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში წარმოადგენს ქალბატონი, რომელიც პატრიარქს შეურაცხყოფას აყენებს, სექსუალური გადახრის მქონე არსებებს ხმალამოღებული იცავს და რომელმაც საკანონმდებლო ინიციატივად სტალინის ძეგლის დადგმაზე 1000-ლარიანი ჯარიმის დაწესება წარადგინა.

ვერაფრით ვერ დავიჯერებ „ჩვენი ევროპელი პარტნიორების“ მტკიცებას იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია. ვერ დავიჯერებ იმას, რომ ბაჩო ახალაიას ვაშლის გათლის მეტი დანაშაული არ ჩაუდენია.

ვერ დავიჯერებ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას იმის შესახებ, რომ, თუ გვინდა დემოკრატია არსებობდეს, ნაციონალური მოძრაობა უნდა შევინარჩუნოთო.

ვერ დავიჯერებ ძალიან ბევრ რამეს და ამიტომ იმ ხალხს, რომლებმაც შარშან თოვლის ბაბუას მიერ დაპირებული 2013 წელი წაგვართვეს, შრეკებს დავარქმევ. შრეკებს, რომლებმაც ყველა ის ოცნება, რომელიც 2013 წლის პირველივე წუთს ნაძვის ხესთან ჩაიფიქრა საქართველოს მოსახლეობამ, ურცხვად დაამსხვრიეს და მთელი წელიწადი უსაჩუქროდ გაგვატარებინეს.

ის ფილმი ჰეფი ენდით მთავრდება. შრეკი ხვდება თავის დანაშაულს, აბრუნებს მოპარულ საჩუქრებს. სამწუხაროდ, არა მგონია, რომ ჩვენი შრეკები მიხვდნენ, თუ რას სჩადიან და რამე დააბრუნონ, თუ ხალხმა არ იაქტიურა.

არ მინდა, ეს წერილი ასეთ ნოტაზე დავამთავრო. ამიტომ დავიტოვებ იმედს, რომ 2014 წელში რაც შეიძლება ნაკლები შრეკი გვეყოლება და ზუსტად ერთი წლის შემდეგ გაცილებით უფრო უკეთეს განწყობაზე ვიქნებით, ვიდრე წელს ვართ. დასასრულს კი მორის ფოცხიშვილის ერთ საბავშვო ლექსს მოგიძღვნით. ლექსს, რომელშიც თუ კარგად დავფიქრდებით, დიდებისთვისაც განკუთვნილი ბევრი რამ არის ნათქვამი:

რაც ძველია, ძველია, ძველია და მიდის.
დღეს ახალი წელია, ზეიმია დიდი.
აბა, ჩქარა, ბავშვებო, გავანძრიოთ ხელი,
თორემ დაგვიძველდება ეს ახალი წელი.

გილოცავთ 2014 წელს. ბედნიერების და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს საქართველოსთვის!

გია გაბრიჭიძე

◎ ხმა ერისა

საახალწლო სურვილების აკიდო

ელდარ შენგელაია (კინორეჟისორი): გასული წელი იმით იყო გამორჩეული, რომ ხალხის ნებამ გაიმარჯვა და პირველად, რევოლუციის გარეშე შევცვალეთ ხელისუფლება, რაც იმის ნიშანია, რომ ჩვენთან თანდათანობით მკვიდრდება დემოკრატია.

გამორჩეული იყო იმით, რომ ვიზეიმეთ ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 36 წლისთავი. რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, ამ წუთას სამონტაჟოში ვარ და იქიდან გელაპარაკებით. ვაკეთებ ფილმს „კავკასიური ტრიო“ აზერბაიჯანელი მწერლის რუსტამ იბრაგიმ ეგოვის ნაწარმოების მიხედვით. ვაპირებ ახალი ფილმის გადაღებას „სავარძელი“. ეს იქნება სატირული კომედია (ჩემს სტილში). ამას გარდა, 2014 წელს ვგეგმავ გადავიღო დოკუმენტური ფილმი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ივანე მრისხანეს პერიოდიდან საბჭოთა კავშირის დანგრევამედე... მოკლედ, გეგმები საკმაოდ მაქვს.

ჩემს ქართველებს, მინდა, ვუთხრა: ნუ ელიან, რომ ვიღაცა მოვა და რაღაცას მისცემს. მხოლოდ შრომით მიიღწევა დოვლათის შექმნა, ხვავი და ბარაქა.

ვულოცავ თქვენს გაზეთს, მკითხველებო, საქართველოს ყველა ეროვნების ადამიანებს დამდეგ შობა-ახალ წელს; სიხარული დაგებედოთ!

ელენე კოდუა (ლიტერატორი, მთარგმნელი. 92 წლის): ოთხმოცდაათს გადაცილებული ადამიანისათვის ჯანმრთელობაა მთავარი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ხალხის იმედიანი და სხვა წლებთან შედარებით ღიმილიანი სახეები. პოლიტიკურმა ცვლილებებმა ხალხს იმედი ჩაუსახა. ეს იყო დასამახსოვრებელი.

მომავალი წლისგან ველი ქვეყნის წინსვლას, ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის გაჯანსაღებას, სამართლიანობის აღდგენას.

ქართველ ხალხს ვუსურვებ ყოველივე კარგს. ნაკლები გაჭირვებული თანამოქალაქე გვენახოს, იმედიანად გვეცხოვროს. მოსახლეობას ნაკლებად ეფიქროს პოლიტიკაზე და მეტი საქმე ეკეთებინოს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გიგლა გიორგაძე (კულტურის დამსახურებული მოღვაწე, პენსიონერი): ხალხს რომ იმედი ჩაესახა და რწმენა დაუბრუნდა, ეს იყო დასამახსოვრებელი. დიდი ცვლილებები ხდება ქვეყანაში, საჭიროა თამამი ქმედებები და სამართლიანობის აღდგენა, რაც დაიწყო. სწორედ ამით გამოვარჩევდი გასულ წელს 2014 წლისგან, როგორც ჩვენი თანამემამულეების უმეტესობა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სიდუხჭირის აღმოფხვრასა და ეკონომიკის გაუმჯობესებას ველოდები.

ქართველ ხალხს ბედნიერებასა და სიხარულს ვუსურვებ, ნაკლებ პრობლემებსა და ნაკლებ საფიქრალს. მთავრობას ვუსურვებ დანაპირების შესრულებასა და წინსვლას. ღმერთმა გვამრავლოს და გვაჯანმრთელოს.

ნინელი კოპაძიძე (პედაგოგი): გასული წელი დასამახსოვრებელი იყო იმით, რომ პედაგოგების შრომის დაფასება და ხელშეწყობა გაიზარდა. პირადად ჩემი ოჯახისათვის — შვილიშვილის გაბედნიერება. ქვეყნისთვის ის, რომ გარდაქმნები დაიწყო და ხალხს იმედი მიეცა.

მომავალი წლისგან ყოველივე კარგს ველოდები. ხალხის იმედები გამართლებულიყოს, მთავრობას დაპირებები შეესრულებინოს. მე იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ველოდები გავხდე დიდი ბებია და სამშობლოს კიდევ ერთი ერთგული მოქალაქე აღვუზარდო.

ქართველ ხალხს ყოველივე კარგს ვუსურვებ, გამრავლებას, სიყვარულს, ჯანმრთელობას, ნაკლებ სადარდებელსა და მეტ გაღიმებულ ხალხს.

იხ. 8 გვ.

რა მოგვიტანა თარსმა წელიწადმა?

ძველი და ახალი წლების მიჯნაზე თვალს ავლებ გასულს და სამომავლოდ ახალ გეგმებს სახავ. ქვეყანაც ასეა - ადამიანებისგან შემდგარი. მასაც აქვს რაღაც გასახსენებელი, ღირსშესანიშნავი, რაღაც მნიშვნელოვანი გასაკეთებელი. როგორც ქვეყანას, ისე თითოეულ მის მოქალაქეს ამოძრავებს მთავარი - იმედი უკეთესად ყოფისა, წარსულში აუსრულებელი ოცნების, მომავალში რეალიზებისა.

უკვე ისტორიის კუთვნილებად მიჩნეულ თარს 2013 წელსაც ჰქონდა რაღაც ისეთი, მომავალში რომ გავიხსენებთ, თუმცა ამ „რაღაცაში“ კარგად გასახსენებელი მოკრძალებული რაოდენობისაა. ისე სწრაფად გაირბინა 2013 წელმა, მთავრობამ ვერც კი მოასწრო უამრავი დანაპირებიდან თუნდაც მცირედის შესრულება. აქტიურ „შრომაში“ გართულს უცბად შემოეძარცვა 365 დღე და რომ წლიური ციკლი ერთით მეტი ყოფილიყო, საახალწლო სუფრაზე უდავოდ ფართო ასორტიმენტს შემოგვთავაზებდა. რა გაეწყობა, ისევ მომავალს უნდა დაველოდოთ.

ლოდინი და იმედი კაცობრიობის არსებობის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. უკეთესის მოლოდინსა და იმედში გადის ჩვენი ცხოვრება. გადის სწრაფად, უმოწყალოდ. 2013 წლის მთავარი მოლოდინი და იმედი ბიძინა ივანიშვილი იყო. 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წარმატებამ განაპირობა ეს.

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ხელმძღვანელზე, ლიდერზე, „ბელადზე“ ამყარებს იმედს. საქართველო არ არის ის ქვეყანა, არჩევნებში, რიგით პოლიტიკოსზე რომ გაამახვილებს ყურადღებას. მას ლიდერი, წინამძღოლი უნდა.

2012 წელს ხალხმა თავის ბელადად მილიარდერი, ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი აირჩია, უარი თქვა რა „ქარიზმატული“ ლიდერის, სააკაშვილის პარტიაზე - შიშის ზარს რომ სცემდა ქვეყანას.

ხალხის ლოგიკა მარტივი იყო — მილიარდერი, მრავალი წლის განმავლობაში ინტელიგენციის დამპურებელი, კულტურის ძეგლთა სიჯანსაღეში უდიდესი წვლილის შემტანი. კაცი, ფიზიკურად უცნობი, მაგრამ კეთილი საქმეებით ცნობილი. სიტყვის კაცი. ხალხი ენდო, გაჰყვა მას და წინასაარჩევნო პროგრამით მოხიბლული, მთელი თუ არა, გასული წლის ნახევარი, მისგან მოსალოდნელი დანაპირების ასრულებაზე ფიქრს გადააყოლა.

გასული წელი საქართველოს ისტორიას შემორჩება ორად გაყოფილ წლად. პირველში, იყო ივანიშვილის მთავრობის მიერ კონკრეტული საქმეების კეთების მოლოდინი. მეორეში, გაცრუებული მოლოდინით გამოწვეული ჭმუნვა. მოგვიანებით მას დაემატა ივანიშვილის მიერ იმ განცხადების განმეორება, რომელიც მან პოლიტიკაში შემოსვლისთანავე გააკეთა — დავალაგებ ვითარებას და ერთ-ორ წელიწადში წავალ.

მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც არ სჯეროდა ივანიშვილის წასვლისა...

ივანიშვილის წასვლის მიზეზს არაერთხელ შევეხებით მომავალში. იქნება მსჯელობა, თავის მტვრევა, მაგრამ არ იქნება პასუხი ზუსტი და გასაგები - რატომ? პოლიტიკოსთა ნაწილმა, განსაკუთრებით „ოცნებიდან“, ლიდერს მოუწონეს გადაწყვეტილება - აქაოდა ამით ქვეყანაში შეიქმნება პრეცედენტი ხელისუფლებიდან ნებაყოფლობითი წასვლისაო.

იყო სხვა მოსაზრებაც — გადაწყვეტილების არასერიოზულობა. ხალხმა „ოცნებას“ ივანიშვილის ხათრით მისცა ხმა. მას (ხალხს) არ მიუცია ხმა კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის, განსაკუთრებით რესპუბლიკელებისთვის. ხალხი ივანიშვილისგან ელოდა დაპირების ასრულებას და არა „ოცნების“ აჯაფსანდლისგან.

ივანიშვილის წასვლა ხალხისთვის უდიდესი იმედგაცრუება იყო, მაგრამ არანაკლები - ხალხისთვის ულტიმატუმის წაყენება - არ აირჩევთ მარგველაშვილს 60-ზე მეტი პროცენტით და ის მეორე ტურში არ მიიღებს მონაწილეობას. ასე და ამრიგად, ივანიშვილმა დაგვიტოვა ყველასთვის უცნობი პრეზიდენტი, უცნობი პრემიერ-მინისტრი, რეკომენდაცია გაუწია ერთ-ერთ „ოცნებელს“ ქალაქ თბილისის მერობაზე.

ივანიშვილის სურვილების დაკმაყოფილებას ხალხი მორჩილად შეხვდა, თუმცა იყო გაოცებაც და გაოცებიდან გამომდინარე - იმედგაცრუებაც. იმედგაცრუება თვალშისაცემი გახდა ახალი ხელისუფლების ავადმყოფური სიხარბის შედეგად.

უზნეობა და ღორმუცელობა ახალს, ძველი ხელისუფლებიდან გადმოჰყვა. დედის რძესავით შეირგო ახალმა ხელისუფლებამ - მოსვლიდან ორი თვის თავზე, „მუყაითი შრომისთვის“ გამოწერილი პრემიები, მომატებული ხელფასები, საკუთარი ორგანიზმის გადასატან-გადმოსატანი ძვირადღირებული ავტომანქანები, უძვირფასესი მობილური ტელეფონები, ახალგარემონტებული კაბინეტები და ა.შ.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს უკაცრიელ უდაბნოში დაიწყეს „მოღვაწეობა“, არადა ამ საკითხში ხომ ბადალი არ ჰყავდა ნაცურ ხელისუფლებას? ის, რაც მათ „ეფექტიანი“ მუშაობისთვის ჰქონდათ სახელმწიფოდან მიღებული, სახლში ხომ არ წაუღიათ? უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი იმერლიშვილი მოურიდებლად აცხადებს — თითქმის 80-ათასიან „ტოიოტას“ სახლში ხომ არ წავიღებო. ჩემს თანამდებობას ეკუთვნის ასეთი მანქანაო. ნეტავ რა საშიში საქმის წინაშეა უშიშროების საბჭოს მდივანი, რომ ძვირადღირებულმა „ჯიპმა“ იხსნას?

არც ახალი მთავარი პროკურორი ჩამორჩა „დროს“. აქაოდა, შოვნააო და უმალ იმერლიშვილის „ჯიპზე“ ორჯერ ძვირი ავტომანქანა ამოიდო საჯდომქვეშ. არადა, მთავარ პროკურორს ეკუთვნის. როდესაც მისი ოპონენტები კოლეგები უდიპლომობას და ყაჩაღობას ედავებიან, „ჯიპი“ რა არის?!

და ეს ყველაფერი გაღლეტილ, მშიერ საქართველოში - მეზობელ ქვეყნებთან შედარებით უმდაბლესი პენსიით, უსუსტესი სოციალური პირობებით და რაც მთავარია, გაურკვეველი მომავლით. უცნობი, თანაც ხარბი მოხელეების გამოჩენამ, ხალხს ხელისუფლებისადმი მბჟუტავი იმედიც ჩაუქრო და იმედგაცრუებულმა ისევ თავის ნაჭუჭს მიაშურა, ჩაიკეტა და ჩათვალა, რომ ახალი ხელისუფლება არ შეუსრულებს დანაპირებს — არც სამართლიანობას აღადგენს, არც ნაცთა მიერ წაგლეჯილ სიმდიდრეს დააბრუნებს, არც ნაცებს დასჯის, თითო-ოროლა ნაცის დაკავება განაჩენის გამოტანა და თავისუფლების აღკვეთა არ არის.

2013 წელი „კოჰაბიტაციური“ წელი იყო, რომელმაც სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეაჩერა დამნაშავე ნაცების დასჯა და არათუ შეაჩერა, მთავარ ოპოზიციურ ძალად გადააქცია.

2013 წელს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კოჰაბიტაციის დასავლელ ავტორთა შეუნიღბავი პარპაშის წელი. ვინ არ იყო აქ? ყველა ისინი თავხედურად იცავდნენ კრიმინალ ნაცებს, მოუწოდებდნენ ხელისუფლებას შემწყნარებლობისკენ. მათმა „ძალად მაცხონეობამ“ გაჭრა. ჯერ იყო და ივანიშვილმა განაცხადა — ისინიც ამ ქვეყნის შვილები არიან და უნდა შევინდოთო, შემდეგ - პრეზიდენტის არჩევნები

და ნაცთა სრული რეაბილიტაცია. მეორე ადგილზე გასვლამ ნაცებს ახალი სული შთაბერა, რაც თვალნათლივ ჩანს მათ ყოველდღიურ ქცევაში. 2013 წელს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ნაცთა რეაბილიტაციის წელი.

2013 წელი ნაცთა ბელადის, სააკაშვილის უსაგნო ხეტიალის, ავანტიურისტული განცხადებების, სახელმწიფო ჯილდოების, საქართველოს მოქალაქეობის „უპრაგონო“ მინიჭების წელიც იყო. უფლებამოსილებით შეკვეცილი პრეზიდენტის ქცევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის იმაზე მეტი გამოდგა, ვიდრე სააკაშვილისგან ელოდა ხალხი.

სააკაშვილმა დაგვანახა, როგორი არ უნდა იყოს პრეზიდენტი. სააკაშვილმა დაგვანახა, რომ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანა მისი „ხოშის“ გასასწორებელი ინსტრუმენტი იყო, რომ ქვეყანა მეწველი ძროხაა, საკუთარი „სტომაქის“ ამოსაყორად.

სააკაშვილმა დაგვანახა, რამდენად სახიფათოა ამბიციური, გადაქანებული, ბოროტი ადამიანის პრეზიდენტობა. დაგვანახა, მაგრამ ნეტავი დიდხანს გაგვყვება სააკაშვილის გულბოროტი მმართველობა? და თუ არა, ამერიკიდან დაბრუნებული ახალი ენერგიით გვეკვეთება.

2013 წელი ახალი მთავრობისა და პარლამენტის გამოცდის წელიც იყო. სამწუხაროდ, დიდით ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი, გარდა ერთისა, მათი პოლიტიკური ვექტორიც ისეთივე იყო, როგორც წინამორბედის. საზოგადოება ივანიშვილისგან პოლიტიკური ვექტორის შეცვლასაც მოელოდა, ანუ დასავლეთთან ბატონყმური ურთიერთობების შესუსტებას, რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსულ ბაზარზე გატანა „რაღაც“ არის, მაგრამ არა ის, რასაც ველოდით. ნაციონალთა ოპონირებით შეშინებულმა ხელისუფლებამ მეტი ვერ გაბედა. რაც შეეხება რუსეთს, არც ის დარჩა კმაყოფილი. ახალი ხელისუფლებიდან უფრო მეტს მოელოდა.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყნისთვის უდიდესი რამ მოხდა 2013 წელს — პარაფირება გაუკეთდა ევროკავშირის ასოცირებული წევრობის დოკუმენტს, რაც თავისთავად გაზვიადებული რამ არის, რამეთუ ასოცირებული წევრობა, ნამდვილ წევრობას არ ნიშნავს. თვით ნამდვილი წევრობაც კი არ იძლევა ესოდენი ჟივილ-ხივილის საბაბს ფანჯიკიძემ და მისმა კოლეგებმა რომ ატეხეს.

თვალი შევავლოთ ევროკავშირის წევრ ბულგარეთსა და რუმინეთს, მათ დანგრეულ ქარხნებს, განადგურებულ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, აუტანელ სოციალურ პირობებს. ლუკმაპურის საშოვნელად ევროკავშირს მოდებულ ბულგარელებსა და რუმინელებს. სულ ახლახან ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-მ ერთსაათიანი გადაცემა მიუძღვნა ამ ქვეყნებს, სათაურით — რუმინელები მოდიან.

შეშინებული ინგლისი ელდასავით ელოდება 2014 წლის იანვარს — ბულგარეთ-რუმინეთის შენგენის უვიზო ხელშეკრულებასთან მიერთებას. იანვრიდან ამ ორი ქვეყნის მოსახლეობას ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილების საშუალება მიეცემა. სწორედ ეს აფრთხობს ინგლისს, ვიანაიდან შიშობს, ბულგარელ-რუმინელების მასობრივ მოზღვავებას, რაც, მათი აზრით, გაზრდის კრიმინალს, თვით ინგლისელებს წაართმევს სამუშაო ადგილებს და სხვა.

ბულგარეთ-რუმინეთს ევროკავშირის „ოქროს ხელი“ არ ეტყობათ, ვინაიდან ასეთი რამ არ იყო გათვალისწინებული ბრიუსელის მხრიდან. და როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთობ მძიმე დღეში არიან, რა მოგველის ჩვენ — სამომავლო ასოცირებულ წევრს?

თუმცა, ქართველობა უფრო წინდახედული გამოდგა. რა ხანია გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები. იქ არსებული ჩარხდანადგარები, ჯართის სახით საზღვარგარეთის გზას გავუყენეთ. საქართველო ადრე გათავისუფლდა „შავი“ წარსულისგან, გაცილებით ადრე, ვიდრე შვედეთი და პოლონეთი მოიფიქრებდნენ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მზაკვრულ გეგმას, რომლის უმთავრესი მიზანი პოლიტიკაა და არა ეკონომიკა, ანუ რუსეთის გავლენის სფეროს შეკვეცა.

ასოცირებული წევრობა არის მოსკოვის ორბიტიდან გამოსვლა და ევროკავშირიდან დისტანცირება, ანუ მოსკოვის გავლენიდან გამოსული ქვეყანა ევროკავშირში კი არ შედის, არამედ შესვლისთვის რიგში დგება, უვადოდ, ხანგრძლივად. და რიგში დგომის დროს უყოყმანოდ ასრულებს ბრიუსელის დავალებებს.

ქართული პოლიტიკა აღტაცებულია ვილნიუსის სამიტით და თვლის, რომ დიდი საქმე გააკეთა. რომ იტყვიან, შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდება, მაგრამ, როცა გამოჩნდება, გვიანი იქნება!

რჩევის სახით, იქნებ ქართულ პოლიტიკაში გაგვეზიარებინა ფეხბურთში არსებული გამოცდილება და ქვეყნის სამართავად (მწვრთნელად) უცხოელი პოლიტიკოსი მოგვეწვია. ურიგო არ იქნებოდა, თუ ის მთავრობაში „მოთამაშე“ მინისტრებსაც უცხოეთიდან მოიზიდავდა.

სააკაშვილს ხომ ჰქონდა ამის მცდელობა? მის დროს ყველა სამინისტროს ჰყავდა უცხოელი მრჩევლები. გახსოვთ ალბათ, საქართველოს ელჩი გერმანიაში, თუ არ ვცდები, ავსტრიელი ქალბატონი იყო - მერკელს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკებაო. ამ ლოგიკით ნებისმიერი გერმანელი პრიორიტეტულ პოზიციაში უნდა იყოს კანცლერინის კარზე.

2013 წელს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ უცხოელი დიპლომატები და პოლიტიკოსები. ისინი „უპრაგონოდ“ ხელს აფათურებდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში. ამ მხრივ დიდი ენერგია გამოავლინა აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა, ევროკავშირის ელჩმა დიმიტროვმა, ამერიკელმა სენატორმა მაკკეინმა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკებმა, ნატოს ექსპერტებმა, სხვებმა.

ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენლები საქართველოში თავს ბატონებივით გრძნობენ და ასე იქნება მომავალში. დღეს ისინი გვკარნახობენ — რა უნდა ვაკეთოთ, მაგალითად რუსეთთან მიმართებაში, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, მეზობლებთან დამოკიდებულებაში.

სწორედ ამ კარნახით საქართველომ ნულზე დაიყვანა ირანთან ურთიერთობა, რადგანაც კვლავ შემოიღო სავიზო რეჟიმი. როდესაც საზღვარზე მოსულ ირანელ კინემატოგრაფისტებს უკან გააბრუნებ, რჩევით — ვიზისათვის თეირანში არსებულ საქართველოს საელჩოს მიმართეთო და ისიც სამდღიან ვიზას გასცემს. როდესაც, დასავლეთის რჩევით, საქართველოს ბანკები ირანელ ბიზნესმენებს ფულს გაუყინავენ, როდესაც ქართული მხარე ირანელ ტურისტებს აიძულებს, ხელი აიღონ საქართველოში ჩამოსვლაზე, ნათლად მეტყველებს, რა დონის საგარეო პოლიტიკა გვაქვს.

განვლილი წელი სხვა მსხვილმან-წვრილმანი ამბებითაც იყო აღსანიშნავი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

დასასრულს, მოკლედ ვიტყვი იმედსა და იმედგაცრუებაზე. საზოგადოებას იმედი ჰქონდა ივანიშვილის, მაგრამ ის წავიდა, განერიდა პოლიტიკას და მასთან ერთად წავიდა სამართლიანობის აღდგენა, გადასახადების შემცირების, ბენზინზე ფასების დაკლების, წამლებისა და მედიკამენტების გაიაფების დანაპირები ზღაპარი. მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეაბილიტაცია. ფაქტიურად ის დაკანონდა როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია.

ენერგომატარებლებზე განხორციელებული ფასდაკლება იმდენად მიზერული გამოდგა, რომ საზოგადოება ამას ხელისუფლების დიდ მიღწევად არ მიიჩნევს.

სუსტი იყო საკადრო პოლიტიკა, რამაც დასაწყისშივე იჩინა თავი. რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელი არ არის.

გასული წელი ლიბერალური აზროვნების განვითარების და პროპაგანდის წელიც იყო, რამაც მასობრივი სახალხო გამოსვლა ააგორა და ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ დაანახა, რომ საქართველო კერკეტი კაკალია, მასთან სხვა ენის გამონახვაა საჭირო, ვიდრე ლიბერალურის.

ისტორიას ჩაბარდა თარსი 2013 წელი, აუსრულებელი ოცნებების წელი. ბედნიერებასა და იმედების ასრულებას გისურვებთ ახალ 2014 წელს!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„დიდკაცთა“ გასაგონად!

არადა, ბატონებო, ჩვენით მოხვედით ხელისუფლებაში!

73500-ლარიან ჯიპს აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრიც ყიდულობდა

აჭარაში! რომ ამბები ხდება, ყურიდან ყურში არ გაიგონება, მაგრამ ეს დასახლშობი ყურები რომც მოარიდო ყველაფერს და არაფერი გაიგონო, თვალებს რა გინდა უყო, თვალებს?!

ბათუმში ამას წინათ თოვლი კი მოვიდა, მაგრამ ჩემმა შვილიშვილებმა, თუმც ბევრი იწვალეს, 10-ლიტრიან ვედროს რომ დაიდგამდა თავზე, ისეთი თოვლის ბაბუა ვერ გააკეთეს. მეზობელ ეზოში იყვნენ თოვლის მოსატანად წასულები, ხელცარიელები დაბრუნდნენ, იქაურმა ბავშვებმა თოვლი არ ასესხეს, ჩვენ თვითონ გვიჭირს და თქვენ რა უნდა მოგცეთო. ამ ერთმა მტკაველა თოვლმა იმისთანა დღეში ჩააგდო ბათუმი, მტრისას და ჩვენი დამაწყევრისას იყოს, აქ რომ ამბები ხდებოდა. ბათუმის ნაციონალ-რესპუბლიკური საკრებულო და მერია დღემდე ამტკიცებენ, რომ ქალაქში თოვლი იწმინდებოდა და მარილიც იყრებოდა, მაგრამ ამის დამჯერებელი შეიძლება სადმე შორს მოიძებნოს, ბათუმში კი – არა.

ამ ჭკუის კოლოფებმა ცენტრალური მაგისტრალების გასაწმენდად კი გაუშვეს ტექნიკა, მაგრამ იმის ჭკუა აღარ ეყოთ, გზის შუაგულიდან გვერდზე გადაყრილი თოვლი გაეტანათ. არადა, ამ თოვლმა ისე ჩაკეტა წყალგამტარი ჭები, რომ წყალი აღარ გაატარა. ქუჩიდან ქუჩაზე რეზინის მაღალყელიანი ფეხსაცმლით ვერ გადადიოდნენ სკოლის მოსწავლეები. ამათაც მეტი რა უნდოდათ და სკოლაში სიარულზე უარი თქვეს. ერთ დღეს ბათუმში სკოლები ისედაც მოიხსნა, დენი არ იყო და გაყინულ საკლასო ოთახებში ვინ გაჩერდებოდა.

ცალკე თემაა ელექტროენერგიის გათიშვა. კი, ბატონო, თოვლი და სირთულეები შეიქმნება, მაგრამ ამ „ელექტროპრო ჯორჯიას“ რომ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა, მაგას რა ვუყოთ? მე რომ დენის საფასურის გადახდა ერთი დღით დავაგვიანო, რუბენა მანტიორი მაშინვე გამომირთავს შუქს. მერე, რომ გადავიხდი, უნდა ეძებო და ეხვეწო, ჩამირთეო. შენ, ძმაო, „ელექტროპრო ხარ“ თუ პროზე ერთი ქართულ ასოდამატებული, რატომ არ გაქვს არავითარი პასუხისმგებლობა ჩემს წინაშე? ხან საათობით სიბნელესა და სიცივეში რომ მამყოფებ. ხანაც ჩაბჟუტულ ნათურაზე მაყურებინებ, ხან იმხელა დენი მოვარდება, ჩემს ელექტროტექნიკას ვინ ჩივის, მეზობელთან რომ ბათქაბუთქი გაუდის ნათურებს და ღრიალებს მაცივარი, ის არ მაძინებს. ჰკითხეთ ერთი ამ „პროს“, თუ გაუგია რამე დენის ხარისხის შესახებ. მაგრამ ხარისხიან დენს ვინ ჩივის, ბათუმი სამ დღეს სიბნელეში იყო და ამაზე არავის მოუთხოვია მაგათთვის პასუხი. ადრე სააკაშვილს ბრალდებოდა – „ენერგოპრო ჯორჯია“ მისი და მისი გარემოცვისაა და ამიტომაა ასე თავგასულიო. ახლა რაღა უბედურება ხდება, ესენიც კოჰაბიტაციის რეჟიმში არიან „ოცნებასთან“, თუ ამ ახალ ხელისუფლებასაც სჭირდება ჯიშიანი მეწველი ძროხა? კალაძე რომ არ ჩამოსულიყო აჭარაში, მგონი, დღესაც სიბნელეში ვიქნებოდით. ენერგეტიკის მინისტრი ხან მთაში იყო და ხან ბარში. დაუღალავად მიდი-მოდიოდა იმ ადგილებში, სადაც დაზიანებები იყო. კიდევ კარგი, რომ ყოფილი ფეხბურთელია, თორემ ღიპიანი და დონდლო ენერგეტიკოსი რომ ჰყოლოდა ქვეყანას, რაღა გვეშველებოდა! მისი თანმხლები ჩინოვნიკები შავ დღეში იყვნენ, ძლივს მისდევდნენ მინისტრს. კალაძე მილანში არ შეშინებია ევროპული გრანდების ზვავისებურ შემოტევას და ახლა აჭარის მთებში გაუჭირდებოდა აქაურ სტიქიასთან გამკლავება?

ამ თოვლმა და ყიამეთმა, თუ ვინმეს არგო ეს კახი კალაძეა. აჭარაში ახლა მისი რეიტინგი ორჯერ მაღალია, ვიდრე თოვლის მოსვლამდე იყო. რომ გამოჩნდეს ვინმე ჭკვიანი და გამოკითხვა ჩაატაროს, დარწმუნდებით, მას საქართველოს ხელისუფალთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი რომ აღმოაჩნდება. ამას ორმა რამემ შეუწყო ხელი, პირველი ის, რომ ფეხბურთელი მინისტრი გულით ცდილობდა სხვისი ბედოვლათობა გადაეფარა და ავტონომიური რესპუბლიკა კოლაფსიდან გამოეყვანა, მეორე ის, რომ პირველი კალაძე იყო, რომელმაც ვეღარ მოითმინა და ავთანდილ ბერიძის ჯიპომანია დაგმო. კაცმა რომ თქვას, სანამ კალაძემ ავტონომიის პირველ პირს არ შეუტია, იქამდე თბილისში ვერავინ მოიცალა აჭარის მმართველი ტროიკისთვის – მურმან დუმბაძე, არჩილ ხაბაძე, ავთანდილ ბერიძე. ახლა მივხვდი, რატომ ვარ სამი წითელი დიპლომის პატრონი 10 წელია უმუშევარი. თურმე, ჩემი უბედურება ისაა, რომ არც ლევან ვარშალომიძის და მიხეილ მახარაძის და არც მურმან დუმბაძის და ავთანდილ ბერიძის ნათესავი არ ვარ. არც უნდა გაუმტყუნო ამ ხალხს, სხვა გზა ვერ ნახეს და უმაღლეს საბჭოში დაასაქმეს საკუთარი რძლები, სიძეები, უმაღლესი საბჭოს კომისიების თავმჯდომარეთა ქმრები, თანაკლასელები და ვინ იცის, კიდევ ვინ და რა ნიშნით შერჩეული სანდო ხალხი. აკი მურმან დუმბაძემ საზეიმოდ განაცხადა, მე ვისაც არ ვიცნობ და არ ვენდობი, იმას რეკომენდაციას არ მივცემო. მურმან ბატონო, არჩევნები რომ იყო, მაშინ გეთქვა, ვის ენდობოდი და ვის – არა. იმ ხალხს, ვინც თქვენი ნდობით არ სარგებლობს, ხმა რომ არ მიეცა შენთვის, როგორ ფიქრობ, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი გახდებოდი? ის თუ იცი, დღეს ბათუმელებს ჩვენი მაშინდელი არჩევანი სანანებლად რომ გაგვიხდა? შე კაი კაცო, ახლახან ბათუმი რომ იქცეოდა უშუქობით და უპატრონობით, მაშინ სად იყავი, ერთხელ მაინც გამოჩენილიყავით ქალაქში ან შენ, ან შენი VIP მეგობარი.

აჭარაში კარგა ხანია, მუსირებს აზრი, რომ თბილისს აჭარისთვის არ სცალია. პრობლემები დედაქალაქში ვერ მოუგვარებია ახალ ხელისუფლებას და პერიფერიისთვის როდისღა მოიცლისო. ამ განწყობამ აქაური ჩინოვნიკები აქაურობის ბატონ-პატრონად აქცია და გაჯეჯილდნენ. არადა, კარგა ხანია, აჭარიდან თბილისში საგანგაშო სიგნალები იგზავნებოდა სამეულის ქმედებებზე. ეს განსაკუთრებით ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს ეხება. ნაციონალური მოძრაობის წევრებს სამუშაოდან გაყრა კი არა, უარესიც ეკუთვნით, მაგრამ სამეულის დასაქმების მოსურნე ნათესავ-მეგობრებისა და ნათელ-მირონების გრძელი რიგი დღემდე რომ არ დამთავრდა, ესაა რომ აგიჟებს აქაურებს.

მურმან დუმბაძეს რომ შეუტიეს, ავტონომიური რესპუბლიკის საკადრო პოლიტიკაში ერევი თურმეო, თვალის დაუხამხამებლად განაცხადა – ვერეოდი, ვერევი და კვლავაც ჩავერევიო. რეკომენდაციას მხოლოდ ჩემს მახლობლებს მივცემო. დღეს პრაქტიკულად მურმან დუმბაძე წარმართავს აჭარაში საკადრო პოლიტიკასაც და პოლიტიკასაც.

ამ დღეებში ბატონი მურმანის წინააღმდეგ კიდევ ერთი სკანდალი აგორდა – მურმანი სეპარატისტიაო. რას იზამ, თავად პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თქვა ისეთი რამ, რაც ამის საფუძველს იძლევა, კახა კალაძემ ავთანდილ ბერიძეს თითი რომ დაუქნია 2012 წლის მოდელის „ტოიოტა“ იკმარე, ჯერ კიდევ კონვეიერზე მყოფ 2014 წლისას და თანაც 83-ათასლარიანს, მაცივრიანს თავი დაანებეო, მურმან დუმბაძე გაცხარდა. ვიცე-სპიკერმა ვეღარ მოზომა და ივანიშვილის ერთ-ერთ დასაყრდენს ცული შემოჰკრა. კახი კალაძეს ჭკუა ასწავლა და განაცხადა, რა უფლება აქვს, ავტონომიის საქმეებში რომ ერევაო. ქვეყნის ვიცე-პრემიერსა და პარტიის გენერალურ მდივანს თუ იმის უფლება არ აქვს, თავგასულ ჩინოვნიკს მითითება მისცეს, აბა ვინ უნდა გააკეთოს ეს? აქ, მე მგონი, დუმბაძის სეპარატიზმზე უფრო მთავარი ისაა, რომ აგერ ერთი წელია, მურმან დუმბაძის ბაღჩა-ბოსტანში, ჩოლოქიდან ბეშუმამდე, რა ხდებოდა, არავის მოუკითხავს. ჰოდა, რასაც უნდოდა „ტროიკა“ იმას აკეთებდა. ახლა კი გამოჩნდა კაცი, რომელმაც შეახსენა, რომ ქვეყანაში თავისი შემოღობილი არც მურმან დუმბაძეს აქვს და არც ავთანდილ ბერიძეს.

დიდ მურმანს არც მისი უმცროსი კოლეგები ჩამორჩნენ აჭარის უმაღლესი საბჭოდან. უმცირესობის წევრმა ირაკლი ბარამიძემ განაცხადა, ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თითს არ უნდა უქნევდესო.

იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად, ავტონომიის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იმას რომ ვერ ხვდება, რომ კალაძე მარტო ენერგეტიკის მინისტრი კი არა, ვიცე-პრემიერი და იმ პარტიის თავმჯდომარეა, რომლის წევრიც ავთანდილ ბერიძეა და რომლის წყალობითაც იგი ამ პოსტს იჭერს. საზოგადოებამ ბარამიძის განცხადება სეპარატიზმის გამოვლინებად რომ მიიღო, ეს არაფერი, ამისთანებს აქაურები შეგუებულები ვართ. გასაკვირი ის იყო, რესპუბლიკელებიდან გამოქცეული და „ოცნებას“ შეფარებული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნაციონალების ერთ-ერთმა წარმომჩენილმა სახემ რომ დაიცვა. მოდი ახლა და, ნუ დაიჯერებ, ნაციონალები და ოცნება ერთნი არიანო. კაცს უნებურად გაგახსენდება უკვდავი მწერლის უკვდავი სიტყვები „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ამ ქვეყანაზე“...

მე პირადად ავთანდილ ბერიძე ადამიანურად მეცოდება, იგი რომ დღეშია ახლა, მტერსაც არ ვუსურვებდი ამ ყოფაში ყოფნას.როგორც ჩანს, „ოცნების“ მოსვლის შემდეგ არა მარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოში იმედგაცრუების შედეგად დაგროვილი მთელი გულისწყრომა ახლა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეზე გადმოიღვარა. უმაღლეს საბჭოში ყველაფერი რიგზე რომ არაა, ეს ფაქტია, მაგრამ განმკითხავი არავინაა,. ხალხის რჩეული ორგანო რომ ხალხს შორდებოდა და იმ ამომრჩევლის გაჭირვებას არად აგდებდა, ვისი წყალობითაც თბილ ადგილებზე და მრავალათასიან ჯიპებში მოკალათდნენ, ამის სიმპტომები თავიდანვე გამოიკვეთა. ავთანდილ ბატონო, გახსოვს შარშან, 27 ნოემბერს, ანუ თქვენი აღზევებიდან ერთი თვის შემდეგ, მე და ჩვენი საერთო ნაცნობი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი თამაზ ცინცაძე გეწვიეთ და წერილი გადმოგეცით. იმ სიმპტომებზე და კონკრეტულ ფაქტზე გწერდი, რასაც შემდგომში უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. თქვენ ამ წერილზე პასუხი არ გამოგიგზავნიათ. ალბათ, არც გახსოვთ, როგორ მთავრდებოდა იგი. შეგახსენებთ „... **არ დაივიწყოთ, რომ თქვენ ბიძინა ივანიშვილის წყალობით მოხვედით ხელისუფლებაში და არა მასალკინისა და სხვათა ავტორიტეტით. კარგად იცით, რა მაღალი რეიტინგი ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ და რა დაბალი – კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება, ადამიანების ბედით დაინტერესდეთ. თუ არა, გარწმუნებთ, წინა მმართველების ბედს გაიზიარებთ. მერე კი გვიან იქნება მონანიება.**

თუ ასე გააგრძელებთ, ჩვენ, თქვენი ამომრჩევლები და თქვენ, ხელისუფლებაში მოსული ჩინოვნიკები, ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდებით. ხელისუფლებისა და ხალხის დაპირისპირება კი როგორ მთავრდება, თქვენ კარგად მოგეხსენებათ“. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, აჭარის VIP პერსონას აჭარის არაVIP მინისტრებიც არ ჩამორჩებიან. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ჯიპთან დაკავებული სკანდალი რომ აგორდა, დეპუტატმა უმცირესობიდან ეკა თარგამაძემ ტელევიზიით ასეთი განცხადება გააკეთა: გარდა უმაღლესი საბჭოსა, ტენდერი ძვირადღირებულ ჯიპზე აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროსაც აქვს გამოცხადებულიო. ამის პასუხად მინისტრის გიორგი თავამაიშვილის მაგივრად კომენტარი მისმა მოადგილემ გააკეთა. მოადგილე რა მოადგილე იქნებოდა, მატროსოვივით რომ არ გადაფარებოდა მინისტრს. ლადო მგალობლიშვილმა განაცხადა: სამინისტროს თანამშრომლებს ხშირად უწევთ მაღალმთიანეში მივლინება და იმიტომ გვინდა ამ ტიპის მანქანის შეძენაო. თქმა არ უნდა, ხულოს, შუახევისა და ქედის შორეულ სოფლებში, მით უმეტეს ზამთარში, მსუბუქი ავტომანქანებით ვერ ივლი, მაგრამ რაღა მაინცდამაინც 73,5 ათასლარიანი „ტოიოტას“ ჯიპით უნდა იაროთ, იყიდეთ, ძმაო „ნივა“ ან „უაზი“. თუ არადა, „ურალის“ ტიპის სამხიდიანი მანქანა სჯობს, არსად გაჩერდება, მივლინებაშიც ივლით და გაყინულ სკოლებსაც შეშით მოამარაგებთ. თანაც მაგ ფასად, „ტოიოტას“ რომ ყიდულობთ, ერთს კი არა რამდენიმეს შეიძენთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, უმცირესობის ფრაქციის წევრს ეკა თარგამაძეს დაუკავშირდა.

– გამარჯობა ქალბატონო ეკა, ამირან კილურაძე ვარ. თქვენს ამასწინანდელ განცხადებაზე მინდა კომენტარი გთხოვოთ. განათლებისა და კულტურის სამინისტრომ უკვე შეიძინა „ტოიოტა“?

– შეხვედრაზე ვარ, ერთი წუთით დამელოდეთ, გარეთ გავალ და დაგელაპარაკებით. აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინტერნეტში ჰქონდა დადებული განცხადება „ტოიოტას“ ჯიპის შესყიდვის თაობაზე ტენდერის გამოცხადების შესახებ. მეც ამაზე დაყრდნობით გავაკეთე განცხადება.

– რა ღირდა ეს ტოიოტა?

– 73 ათას 500 ლარი იყო შესასყიდი ფასი, მაგრამ, როგორც ჩანს, სამინისტრომ გადაიფიქრა ამ მანქანის შესყიდვა და გუშინ უკვე გამოჩნდა ახალი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამინისტრომ ტენდერი გააუქმა.

– ქალბატონო ეკა, სამინისტრომ ტენდერის გაუქმების გამო ჯარიმა უნდა გადაიხადოს თუ არა?

– ალბათ, უნდა გადაიხადოს.

ბუნებრივია, დამაინტერესა, რატომ თქვა სამინისტრომ უარი ჯიპის შეძენაზე. ვრეკავ განათლებისა და კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან თეა ვადაჭკორიასთან.

– თეა, „ტოიოტას“ ჯიპის შეძენაზე რატომ თქვა უარი სამინისტრომ?

– გუშინ (ესე იგი, 18 დეკემბერს – **ა.კ.**) გავაუქმეთ ტენდერი. მოგახსენებთ, საქართველოს მთავრობაში მზადდება ახალი რეგულაციები სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენასთან დაკავშირებით. ჩვენც ეს გავითვალისწინეთ და გავაუქმეთ ტენდერი. როცა მთავრობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ალბათ, მერე ვიმსჯელებთ მანქანის შეძენის საკითხზე.

– რა აუცილებელია სამინისტროსთვის კიდევ ერთი მანქანის შეძენა?

– აუცილებელია, რადგან არ გვაქვს მაღალი გამავლობის ავტომანქანები, მინისტრს „ტოიოტა კამრი“ ემსახურება, იგი კი, მოგეხსენებათ, არაა ისეთი მანქანა, მთიანი რეგიონისთვის რომ იყოს მოსახერხებელი.

– თეა, მე ტელევიზიით ვნახე სიუჟეტი, სადაც სამინისტროს ეზო და თქვენი მანქანები იყო ნაჩვენები. იქ ჯიპიც იდგა.

– ის ჯიპი მინისტრის კერძო მანქანაა, მაშინ ბათუმში თოვლი იყო და იმიტომ მოვიდა იმ მანქანით სამსახურში.

თურმე ნუ იტყვით, მინისტრი გიორგი თავამაიშვილი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ წავა მთიანეთში, საკუთარ მანქანას ჯაფას არ დააწევს. მე შენ გეტყვი და, ბენზინი ექნება მისი ჯიბიდან საყიდელი თუ ზეთი. ბატონო გიორგი, 73500 ლარი თუ გქონდა, ბათუმის ცვილის მუზეუმში ერთი დარაჯის შტატი ვერ დაუშვი? ან იმის ფული მაინც გადაგეხადა, მუზეუმისთვის ელექტროენერგია რომ ჩაერთოთ იქ, მაშინ ხომ ვერ დაარბევდნენ და გაძარცვავდნენ ამ მუზეუმს?!

მახსოვს, სანამ ნაციონალების ხელისუფლება აღზევდებოდა, აჭარის განათლების და კულტურის სამინისტროებს (მაშინ ეს სამინისტროები ცალ-ცალკე იყო), თითო მანქანა ჰქონდათ. მინისტრებს პერსონალურად ეკუთვნოდათ, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, ამ ტრანსპორტით სარგებლობდნენ მოადგილეებიც და აპარატის მუშაკებიც. ეს ის დრო იყო, როცა მინისტრის თვიური ხელფასი 120 ლარს შეადგენდა, მოადგილისა – 110. თუმცა, ქვეყანა არ დაქცეულა და არც თქვენზე ნაკლები საქმე უკეთებიათ მათ მაშინ. ხელფასები და პრემიები დათვალეთ კარგად, რამდენს იღებთ და მერე ელაპარაკეთ იმ ხალხს, თქვენი წყალობით უმუშევრად რომ არიან დარჩენილი!

ცვილის მუზეუმი დარბეული, ექსპონატები კი განადგურებული რომ იყო, სამინისტრომ მაშინ გაიგო, როცა იქ ტელევიზია მოვიდა გადასაღებად. როგორც შემდეგ ჩინოვნიკებმა განაცხადეს, მუზეუმს არც დაცვა ჰყავდა და არც ელექტროენერგია მიეწოდებოდა, რადგან ამის თანხები არ გაგვაჩნიაო... მუზეუმის დაცვის ფული არა გაქვთ და ერთ VIP მანქანაში უზარმაზარ თანხას იხდით? ღმერთი არა გწამთ, ხალხო!? არ მითხრათ ახლა, მუზეუმი კულტურული მემკიდრეობის დაცვის სამმართველოსია და მან უნდა უპატრონოსო. რაო, ეს სამმართველო თქვენი სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფი არაა? თქვენ არ ადგენთ სამინისტროს ბიუჯეტს? თქვენ არა ხართ პასუხისმგებელი მის დაფინანსებაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე? როგორ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო, მე და ჩემისთანებს მუზეუმი უფრო გვაინტერესებს, თუ თქვენი და თქვენი პატრონების უზრუნველი ცხოვრება?

ამირან კილურაძე,
„სრ“ აჭარა-გურიის
საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.

P. S. წერილი რედაქციაში გასაგზავნად მზად იყო, როცა სანდო წყაროს სკანდალური ინფორმაცია მომაწოდა – ესა და ეს ქალბატონი, რომელიც აჭარის უმაღლეს საბჭოში მუშაობდა, ერთი წლის განმავლობაში უკვე მეორედ გაათავისუფლეს სამუშაოდანო. ამ ქალბატონის პირველი გათავისუფლებაც არანაკლებ სკანდალური იყო, მაგრამ იგი სასამართლომ სამუშაოზე ამა წლის 16 ოქტომბერს აღადგინა. ეს „საქართველოს რესპუბლიკის“ საამოვანი თემა იქნება.

ა. კ.

რაც ხშირად არ გვახსოვს

ახალი წელი – საქართველოში

ახალი წლის შემობრძანება ახალ იმედს უკავშირდება ხოლმე. იმედი კი თავისთავად არის ადამიანთა სიხარულის, ოცნების ასრულების, ბედნიერების დამტევი. ახალი წლის ღამე ასეთ იმედთთან შეხვედრის დროა, ახალი ნაბიჯის გადადგმაა, ახალი წლის დასაწყისია.

ამდენად კაცობრიობა, ალბათ, დასაბამიდან აღნიშნავდა რლაც ახლის საწყისს, რა თქმა უნდა, თავისებურად. და ეს უკეთესი დღის მოლოდინთან შეხვედრის ფორმა ათასწლეულთა განმავლობაში იხვეწებოდა, თავისებურ ფორმას იღებდა და დღემდე მოაღწია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მსოფლიოს, რომელსაც უკვე აღარ სჯერა ზღაპრებისა, მაინც ჯიუტად უნდა დაიჯეროს სანტა კლაუსისა თუ თოვლის ბაბუას არსებობა. დაე, გვჯეროდეს!!!

საახალწლო წესჩვეულებებითა და ცერემონიებით გამორჩეულია საქართველო, სადაც ყველა კუთხეს საკუთარი ტრადიციები ახასიათებს. თუმცა, მეტ-ნაკლებად მაინც ერთმანეთის მსგავსია. დიდი და პატარა სიხარულით ელის მას, რათა მადლიერებით გააცილოს ძველი და სიხარულით შეეგებოს ახალს...

თბილისი

ძველად, თბილისის მოსახლეობა ახალი წლის ღამეს სახლის კარებს ღიას ტოვებდა, თვლიდნენ, რომ ამ დღეს შეიძლებოდა ბედნიერებას ჩამოევლო, თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, ბედნიერება მათ გვერდს აუვლიდა.

ძველად ახალ წელს დათრობა და ხმამაღალი საუბარი არ შეიძლებოდა. ეს ყველაზე ტკბილი დღე იყო, მთაშიც და ბარშიც. რაც შეეხება საახალწლო სამზადისს, დიასახლისი რიტუალურ პურს, ბედისკვერს აცხობდა ოჯახის ყველა წევრისათვის. ბარში ტაბლაზე დაწყობდნენ წითელ კვერცხებს, ცივად მოხარშულ დედალს, ღორის თავს, ჩურჩხელას, ჩამიჩს, ღვინოს, არაყს, ნაზუქებს, ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი მთაშიც და ბარშიც შეშის მოტანა იყო.

თუშეთი

საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ.

ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს“, კაცზე „ბაცუკაცს“ და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქები აქვს, ძროხისას – ცური, ცხვრისას – დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმის არის. ყველა ამ კვერს ხონზე დაალაგებენ და ზედვე დებენ: მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კერის კვერს.“

საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწყვია: ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას პურს შემოაგორებს და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი. ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“

ხევსურეთი

ხევსურები ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობს ბედის კვერებს: თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს, ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებაო.

ახალწელიწადს მამაკაცები ხატში იკრიბებიან და აქ ხატის დარბაზში დროს სმასა და მოლხენაში ატარებენ.

ფშავი

მამლის პირველი ყივილისას დიასახლისი დგება, ჯალაბს ნაყრად (საგზლად) ხმიადს გამოუცხობს, ხონჩაზე დადებს და მას კერის პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუმწკრივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან „ნაყრს“ – ყველს და პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: „წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო.“ ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამს, სუფრას სახელს შესდებს და დაილოცება. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს თაფლს და ხილს შეაჭმევს, „დააბერებს“ და ერთმანეთს ეტყვიან: „ეგრემც ტკბილად დამიბერდიო“. გადმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვაბს ჩამოჰკიდებს და ხინკლის კეთებას შეუდგებიან.

მესხეთ-ჯავახეთი

სალამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს.

შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსაც.: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას.

ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა.

მამლის ყივილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით; „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლ-შვილო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი.“

საინგილო

საინგილოში საახალწლოდ დაამზადებენ ხონჩას; დაწყობენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამენ ჯამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და სახლის-დიდთან ერთად წავლენ ვენახის საკვლევად. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერე ააგებს, ჭიგოების ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოაგლეჯს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავს და თან იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა.“ თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. ახალი წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში.

გურია-სამეგრელო

გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან.

სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ალაგია: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა.

საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს.“ საუზმის შემდეგ კი დაიწყება თუთის წკნელებით საახალწლო მილოცვები.

ახალ წელიწადს გურიაში მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგება.

მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაეშურებიან.

მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ.ბასილას ეხვეწება, რომ ამ კაკალივით მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით აავსოს. ბოლოს ღორის თავს აიღებს, საწნახელს სამჯერ მიარტყამს და თან ყვირის: „აგუნა, აგუნა, მიეც ჩვენს სამშობლოს ღვინო და სხვებს ფურცელი“-ო. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართება და ოჯახის წევრებს ულოცავენ.

რაჭა

ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს "კერია-ბერია"-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“, შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერია“-ს უნაწილებენ.

სვანეთი

ახალწლის ღამეს სვანები სხვადასხვა სანოვაგეს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარებს დაკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გააღეთ) ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე, ყორ მუკიარ (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მოგაქვს, კარი გამიღეთ).“ სახლში შესვლისას კერას სამჯერ შემოუვლის, დიდ ჯვარიან პურზე დააწყობს ტკბილეულს და ვერცხლის ფულებს, უფროს-უმცროსობით ყველას დაუვლის და დღესასწაულს ულოცავს.

ქართლი

ქართლში თავდაპირველად აცხობენ ბასილას ქანდაკებას, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითოს შინაური ცხოველებისთვის. გამთენიისას ოჯახის უფროსი ხონჩაზე ღორის თავს დადებს, ირგვლივ ბედის კვერებს შემოუწყობს და ზედვე ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ხონჩის ერთ გვერდზე „დასაბერებლად“ თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებენ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სახელმძღვანელო „რუსული ოკუპაციის შესახებ“ ქართულ სკოლებში ვერ მოხვდა

ამის ნაცვლად თბილისმა მიიღო გადაწყვეტილება, გააცნოს მოქალაქეებს ევროკავშირის ანგარიში, რომელშიც ცხინვალის მიმართულებით სროლა გაუმართლებლადაა დასახელებული. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერების სამინისტრომ უარი განაცხადა წინა ხელისუფლების მიერ მომზადებულ სასწავლო სახელმძღვანელოზე უფროსიკლასელებისთვის „რუსული ოკუპაციის შესახებ“.

იდეას — შეეტანათ იგი სავალდებულო პროგრამაში, აქტიურად უჭერდა მხარს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სანამ იგი ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა. მაგრამ, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩვენს გაზეთს აცნობეს, სკოლებში სახელმძღვანელო არ შესულა, საერთო ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ფაკულტატივებში ამგვარი ცალკე საგანი არ აღმოჩნდა. მოსკოვთან კურსის შეცვლის მიზეზით ძველი ხელისუფლების ძალისხმევამ, ახლებურად წარმოეჩინათ სამეცნიერო და ექსპერტულ დონეზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დონე ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგი.

— ეს იყო წინა ხელისუფლების პოლიტიკური, კონიუნქტურული შეკვეთა, რომელიც მიზნად ისახავდა, გვეჩვენებინა, რომ რუსეთი საქართველოს მტერი ყოველთვის იყო, — ამბობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თბილისში კავკასიის უნივერსიტეტიდან ზურაბ ბრეგვაძე. — **მაგრამ ისტორია ერთსახა როდია. ჩვენს ურთიერთობებში იყო ცუდიც და კარგიც.**

სახელმძღვანელო გათვალისწინებული იყო საშუალო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის. ბრეგვაძე აღნიშნავს, რომ ისტორიკოსების კოლექტივი, რომლებიც მაშინ სასწავლო სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ, ცნობილი იყო სამეცნიერო წრეებში ახლო ურთიერთობებით ექსპრეზიდენტ სააკაშვილის დედასთან გიული ალასანიასთან, რომელმაც საქართველოს უნივერსიტეტი დაარსა. ამავე დროს, ზოგიერთი ავტორის კომპეტენტურობა ეჭვს იწვევდა. მაგალითად, ერთერთი მათგანი — თამაზ ბერაძე — არ იყო სპეციალისტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, აღნიშნავს ისტორიკოსი.

მაშინდელი განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ამბობდა, რომ „მითი ორი ქვეყნის მეგობრობის შესახებ გამოაშკარავდა 2008 წლის აგვისტოში“, და სკოლის მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, საიდან და როგორ დაიწყო ეს ყოველივე. მაგალითად, რომ საქართველოს მხრიდან დაიღუპა 170 სამხედრო, 11 პოლიციელი და 219 მშვიდობიანი მოსახლე. იმ მიზნით, რომ მიეწოდებინათ ეს ყოველივე ახალგაზრდობისთვის, შეიქმნა სწორედ ეს სახელმძღვანელოც 2010 წელს.

— მაგრამ რუსეთისა და საქართველოს კავშირურთიერთობანი უნდა შევისწავლოთ როგორც ისტორიის ნაწილი. ცალკეული სასწავლო სახელმძღვანელო ოკუპაციის შესახებ — ეს კრეტინიზმია, — მიაჩნია პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველს, განათლების მინისტრის ყოფილ მოადგილეს დავით ზურაბიშვილს.

მით უმეტეს, რომ სკოლებში უკვე ეწყობა ეგრეთ წოდებული „ოკუპაციის კვირეები“ — ტრადიციულად თებერვალსა და აგვისტოში, გასაბჭოების და რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის წლისთავთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო — ეს არ არის ერთადერთი რეკლამირებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეუკვეთა და დააფინანსა წინა ხელისუფლებამ, თუმცა იგი არ გამოსულა. მაშინ, 2010 წლის შემოდგომაზე, სააკაშვილმა გასცა განკარგულება შეექმნათ სპეციალური „რუსეთთან ურთიერთობებში ისტორიული სიმართლის დადასტურების კომისია“. ამ კომისიას ანალიზი უნდა გაეკეთებინა ორზე მეტი საუკუნის ურთიერთობებისთვის მუშაობის სამ თვეში. მის თანათავმჯდომარეებად დაინიშნენ ცნობილი თბილისელი ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე, რომელიც ადრე ნატოს საინფორმაციაო ცენტრს ხელმძღვანელობდა, და ამერიკის შეერთებული შტატების კენტის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელი ვასილ რუხაძე. ანგარიში მაინც ვერ გასაჯაროვდა.

მიმდინარე წლის თებერვალში, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, სააკაშვილმა მოულოდნელად მოითხოვა გამოექვეყნებინათ მოხსენება. მაგრამ მისი ბრძანებულება ათი თვის შემდეგაც კი შეუსრულებელი დარჩა.

— ეს უკვე თანადროული აღარაა, — უთხრა ჩვენს გაზეთს შარაშენიძემ. **— მწვავე საინფორმაციო ომები ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე აღარაა.**

მისი აზრით, ამჟამად აზრი აქვს მხოლოდ შესაძლებლობას გავაცნოთ ისინი ექსპერტებს, ისტორიკოსებს.

სააკაშვილის მიერ დაკვეთილი გამოკვლევის გამოქვეყნების ნაცვლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, თარგმნოს ქართულ ენაზე მეორე ავტორიტეტული ანგარიში 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზების შესახებ. იგი მოამზადა ევროკავშირის სპეციალურმა საერთაშორისო კომისიამ შვეიცარიელი ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით 2009 წელს. მასში, კერძოდ, სპეციალისტებმა გაუმართლებლად მიიჩნიეს სამხრეთი ოსეთის დედაქალაქისკენ გაუმართლებელი სროლები საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 8 აგვისტოს ღამის განმავლობაში. საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ეს დაეხმარება ადგილობრივ საზოგადოებას კიდევ უფრო უკეთესად შეიგრძნოს ქვეყნის წინა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა იმ მოვლენებისთვის. ჯერჯერობით ეს დოკუმენტი მხოლოდ ინგლისურ და ფრანგულ ენებზეა.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

რუსეთმა და ყაზახეთმა შეძმნეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო სისტემა — უკვე არსებულის დამატებით

ჯერ კიდევ 1995 წელს რუსეთი და ყაზახეთი გახდნენ დსთ-ს ფარგლებში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაერთიანებული სისტემის შესახებ შეთანხმების მონაწილეები, სადაც მხოლოდ ცხრა ქვეყანა შევიდა. ახლა კი მოსკოვი ცდილობს, დადოს ანალოგიური შეთანხმებები თითოეულ სახელმწიფოსთან ცალკე. ეს არის პასუხი ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, მიაჩნიათ ექსპერტებს.

* * *

ავსტრალიურმა ყინულმჭრელმა ვერ შეძლო „აკადემიკოს შოკალსკის“ გამოყვანა ყინულებიდან თავსხმის მსგავსი თოვლის გამო

ანტარქტიკის ყინულებში გადასარჩენი ოპერაცია შეჩერებულია. ყინულმჭრელმა ვერ შეძლო პირველი ცდით მიეღწია რუსეთის გემამდე, მოეხდინა ხალხის ევაკუაცია ცუდი ამინდის პირობებში. ეკიპაჟი აპირებს დარჩეს ბორტზე მოვლენათა ნებისმიერი განვითარების დროსაც კი.

* * *

„ავტომაიდანის“ მონაწილეებმა გაუფუჭეს კარები პრემიერ აზა-

როვს და „კრემლის ახლო პიროვნებას“ მედვედჩუკს

ოპოზიციის საკვირაო ავტოგარბენის პირველი გაჩერება აღნიშნული იყო პრეზიდენტის რეზიდენციასთან, მაგრამ იქამდე მისვლის საშუალება ძალოვნებმა არ მისცეს. აი პრემიერისა და „უკრაინის არჩევანის“ ლიდერის სახლებს კი არავინ იცავდა. პროტესტის მონაწილეებმა გადაღუნეს ღობეები, წააწერეს მას შეურაცხმყოფელი ლოზუნგები და ცაში სალუტი გაუშვეს.

* * *

სალვადორში გააქტიურდა ვულკანი ჩაპარასტიკე: გამოცხადებულია „ყვითელი“ განგაში

მოსახლეობისთვის პოტენციური საფრთხის მიზეზით ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, მოახდინოს იმ დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა ევაკუაცია, რომლებიც ვულკანიდან სამი კილომეტრის რადიუსშია. ფერფლის ღრუბლები, რომლებიც განლაგდნენ ხუთიდან ათი კილომეტრის სიმაღლეზე, შეიძლება დაინახო დედაქალაქის — სან-სალვადორის ზოგიერთი რაიონიდან.



◎ ხმა ერისა

საახალწლო სურვილების აკიდო

თეიმურაზ ჯიშკარიანი, ინჟინერი: 2013 წლით კმაყოფილი ვარ, უფროსმა ვაჟიშვილმა ცოლი შეირთო, კარგი გოგო და შვილიშვილიც მაჩუქეს ახალგაზრდებმა, რითაც უზომოდ ბედნიერი ვარ. ბევრს ვმუშაობ, ოჯახი გაგვეზარდა, მაგრამ საქმის კეთება არ მეზარება, მთავარია ყველანი ჯანრთელები ვიყოთ.

პავლენ ფამფალეიშვილი, ვეტერინარი: შარშან პენსიაზე გავედი, თბილისის სახლი შვილს დავუტოვე, მეუღლესთან ერთად სოფელში გადავედი, იქიდან ვეხმარები ჩემს ქალიშვილებს, შვილიშვილებს. ქალაქში ცხოვრება შედარებით ადვილია, სოფელში ჭირს, მაგრამ ყველანი მაინც იმედიანად ვართ, კარგად გვესმის, რომ მდგომარეობის გამოსწორებას დრო სჭირდება, ერთი ხელის დაკვრით არაფერი გამოვა. ჩვენს ქვეყანას კი მოღონიერებას ვუსურვებ, რომ ხალხს ცხოვრების ჭირ-ვარამი შეუმსუბუქოს.

ლევან ჯაფარიძე, მშენებელი, დროებით უმუშევარი: იცით რას გეტყვით,? შარშანდელი საპარლამენტო აჩრევნების შემდეგ მეგონა — ახლა კი გვეშველება, ხალხი თავისუფლად ამოისუნთქებს, მაგრამ კიდევ ერთხელ გული გამიცრუვდა — უბრალო ხალხისთვის არც ერთი მთავრობა არ ზრუნავს, ესენიც იმ ჭკუაზე არიან, როგორზეც ნაციონალები იყვნენ, ყველა თავის თავზე ფიქრობს, სხვები არავის ედარდება. აგერ, ამდენი ხანია უმუშევარი დავდივარ, სადაა სამუშაო? თავი როგორ ვირჩინო, აზრზე არა ვარ. ამიტომაც ახალი წლისგან მაინც ბევრ არაფერს ველი.

ლეილა გაგუა, დიასახლისი: წელს მეგონა სამართლის დიდი ზეიმი იქნებოდა ქვეყანაში, მაგრამ რატომღაც ასე არ გამოვიდა. რა არის ამის მიზეზი, ვერაფერი ვერ გავიგე, თითქოს ახალ ამბებსაც ვუსმენ, გაზეთებსაც ვკითხულობ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენას ქვეყანაში ამდენი დრო რატომ სჭირდება, არ მესმის. ჩვენს თანამემამულეებს კი მომავალ წელს ყველა ოცნების შესრულებას, ჯანმრთელად ყოფნას, ბარაქას და სულიერ სიმშვიდეს ვუსურვებ.

ედუარდ პამბოხჩიანი, ბაზარში კარტოფილით მოვაჭრე: — აი, მეკითხებით, რა ამბავია ერთი კილო კარტოფილი 1.60 ლარი რომ ღირს, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენ იაფად არავინ არფერს არ გვაძლევს, მთავრობა მხოლოდ თავის „ჯიპებზე“ და მაღალ-მაღალ ხელფასებზე ფიქრობს, მეტი არაფერზე. მოდი, მაგათ ჯერ ხალხზე იფიქრონ, მერე ვილაპარაკოთ. ისე, ბედნიერებას გისურვებთ, ჯანზე ყოფნას!

ბაძო მუსტაფოვა, მატარებლის გამცილებელი: — წელს კარგი წელი მქონდა, სამსახური ვიშოვე, ლუკმა პურის ფულს ვიღებ, საუშაო მართალია ძნელია, მაგრამ ხომ სამუშაოა, მაშ სხვამ რა თქვას, ვისაც პურის ფული არა აქვს? მართალია, ხალხს უჭირს, მაგრამ ნელ-ნელა, ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება, მთავარია ერთმანთში ომი აღარ იყოს, არც მეზობლებმა უნდა იჩხუბონ, მშვიდობა როგორც გინდა იყოს, მუდამ სჯობია ომს. ყველას ბედნიერებას და ჯანმრთელობას ვუსურვებ, მაგის ფასი ქვეყანაზე არაფერი არ არის.

გადავიტანოთ!

ᲒᲣᲨᲘᲜ საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულ ქუჩაში ნაცნობი პოლიტოლოგი შემხვდა. არ დაგიმალავთ, მაგარი ვინმეა. თბილისში, შავი ზღვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ერთდროულად ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებშიც სწავლობდა. მაგარს ისე აქვს თავი გამოტენილი ჭკუით, ლამის გადმოუვიდეს.

— ჯემბურ, მაგარო, — ვეუბნები, — ხო უყურებ ქვეყანა რა დღეშია, მთავრობები მიდიან და მოდიან, ხალხი კი ისევ უმძიმეს გასაჭირშია. ჰე ბიჭო, ამდენი ტყუილად ისწავლე, გვიშველე რამე!

— მაგაზე არ იჯავრო, —მომითათუნა მკლავზე, — მალე გვეშველება, შეიძლება ითქვას, უკვე მოფიქრებულიც მაქვს.

— რომელი, ნარცისების რევოლუცია?

— არა, ჩვენ სწორედ რევოლუციებმა დაგვღუპა. გამოსავალი ერთია — უნდა გადავიტანოთ! — გამოსცრა კბილებიდან.

— დავით აღმაშენებლის ძეგლი? — ეგ ხომ მიშამ ადრევე მოიფიქრა.

— არა, ძეგლი რა შუაშია.

— აბა, პარლამენტი? — ეგეც მიშამ დაგვასწრო და ქუთაისში გადაიტანა.

— პარლამენტი არა, მაგრამ შეიძლება თავად ქუთაისი გადავიტანოთ.

— სადა, კაცო, კახეთში?

— კახეთში როგორ გადავიტანთ, როცა თავად კახეთიც გადასატანია.

— აბა, სამეგრელოში?

— კი არ გეხუმრები, შე კაცო, — მითხრა მთელი სერიოზულობით, — თუ საპარლამენტო უმრავლესობა დავითანხმე, შეიძლება საქართველო მთლიანად გადავიტანოთ.

— მეზობელ სომხეთში?

— არა, სომხები თვითონ აპირებენ სომხეთის საქართველოში გადმოტანას და როგორმე უნდა გავასწროთ.

— მივხვდი სადაც, ჩვენ ხომ მაინც ევროპელები ვართ და...

— არა, — შემაწყვეტინა, — ევროპაში გადატანას კი ვფიქრობდი, მაგრამ იქ დიდი სიმჭიდროვეა და არ გამოვა.

— აბა, ჯუნგლებში რა გვინდა, შე კაცო?

— რატომ ჯუნგლებში, ამდენს იმიტომ ვმარჩიელობ, რომ კარგ ადგილს ვუმიზნებ.

— მაინც სადა, აღარ იტყვი? — გავნერვიულდი.

— მარსზე, ჩემო კარგო, ჩვენს მეზობელ მარსზე!

— გაგიჟდი, კაცო? — შევიცხადე, — მარსზე რა გვინდა, ამდენი იმიტომ ისწავლე, რომ მშობლიური ქვეყანა იმ ყინვა-ყიამეთისთვის გაიმეტო?

— აი სწორედ ეგ ყინვა იზიდავს ანდამატივით გლობალური დათბობის კატასტროფული მომავლით შეშინებულ დედამიწელებს.

— არ გადამრიო, მერე შენ საიდან აკრიფე ეს ყველაფერი?

— როგორ თუ საიდან, სამეცნიერო ნოვაციიდან, ჩემო კარგო, — თქვა მრავალმნიშვნელოვნად და მეტი დამჯერებლობისათვის დაამატა: შენ რა, არაფერი გაგიგია, მთელი მსოფლიო ელამელას არის ნაცემი, ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ უკვე გააკეთა განაცხადი მარსზე ტერიტორიების დასაკავებლად.

— გამოდის, რომ თუ არ ვიჩქარეთ, შეიძლება უადგილოდ დავრჩეთ?

— აბა რას გეუბნები, მაგიტომ დავრბივარ წარამარა ბრიუსელსა და ვაშინგტონში, იქნებ როგორმე ამერიკის გვერდით კარგ ადგილებს გამოვკრათ ხელი.

— მერე რუსეთი? — გამკრა თავში, — თავს მოიკლავს და ამერიკის სიახლოვეს საქართველოს გადატანას არ დაუშვებს.

— მაგას ვინ კითხავს, ბალი ათი შაურიაო, —იქაც იმპერიები კი არ იბატონებენ, ბატონო, ჩვენ ვისაც მოვისურვებთ, იმის მეზობლად დავსახლდებით. ისე, რო იცოდე, რუსეთს ეს ამბავი შეიძლება გაუხარდეს კიდეც, აბეზარა ქართველებს ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოგვიცილებს და ამიერკავკასიაში ერთპიროვნულ მმართველობას გაინაღდებს.

— მაგრამ დანარჩენმა მეზობლებმა რო გვიჩივლონ?

— აბა კაცო, მეტი საქმე არა აქვთ. ან რა აქვთ საჩიველი, ჩემო კარგო, სომხები, მაგალითად, ზღვაზე გავლენ და მარტო ქობულეთს აღარ შეაჩერდებიან. აზერბაიჯანი ეტყვის, ზღვა რო ჩაიგდეთ ხელში ეგეც გეყოფათო და სომხებს ყარაბაღზე ხელს სამუდამოდ ააღებინებს.

— მაგრამ აფხაზები და ოსები?

— ამდენი ომობანას შემდეგ, სულელები კი არ არიან, მშვიდობიან მარსზე უარი თქვან. თუ იქ გადავალთ, ჩათვალე რომ ეთნოკონფლიქტი თავისთავად ისტორიას ჩაბარდება.

— ვითომ რუსები წართმეულ ტერიტორიებს მშვიდობიანად დაგვითმობენ?

— არც ეგენი არიან ისეთი სულელები, რომ ამხელა იმპერია მიატოვონ და აფხაზებსა და ოსებს მარსზე გამოეკიდონ.

— აგაშენა ღმერთმა, — პირჯვარი გადავიწერე, — მაგას რა სჯობს, უომრად გადავრჩებით. თუმცა, კითხვები მაინც დამრჩა.

— თქვი, ნუ გერიდება.

— აი, მაგალითად, ვიდრე მარსზე გადავიდოდეთ, მიწები წინასწარ ხო უნდა შევიძინოთ. ჰოდა, არის კი იქ ვინმე, რომელიც მიწებს მოგვყიდის?

— რა თქმა უნდა, არის. იქაური მიწების შესასყიდად ჩარჩი ბენდუქიძე რახანია გადაფრინდა.

— ბენდუქიძე თავისთვის კი იყიდის, ჩემო კარგო, მაგრამ ჩვენ რა?

— თავისთვის კი არა, სწორედაც რომ ჩვენთვის იყიდის.

— ჩვენთვის, კაცო?

— ჰო, რა გიკვირს. თავისთვის „ოპტომ“ კაპიკებად იყიდის და მერე ჩვენ მილიონებად შეგვასყიდის. აბა უგულავასავით ბეყე კი არ არის, მიწა ჯერ 7 მილიონად გაყიდოს („პესკებზე“ გეუბნები) და მერე თავადვე 17 მილიონად შეისყიდოს (?!).

— ჯანდაბას უგულავას თავი, შენ ეგ მითხარი, ამდენ გეგმებს რო აწყობ, ჩვენი მარსზე გადაბარგების საკითხი ნაცებს თუ შეათანხმე?

— ეგღა მაკლია, ნაცებს რამე შევათანხმო. აგერ არის საპარლამენტო უმრავლესობა და როგორც გადაწყვეტს, საქმეც ისე წარიმართება.

— არც მასეა საქმე, ძმაო, როგორც შენა გგონია. ვერა ხედავ, მაგათი თანხმობის გარეშე პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში ვერ გადმოგვიტანია და საქართველოს მარსზე ვინ გადაგვატანინებს? ეგეც არ იყოს, უმაგათოდ კოჰაბიტაციური დემოკრატია ჩაგვივარდება და ევროკავშირი და ნატო სამუდამოდ შემოგვწყრებიან.

— შემოგვწყრებიან და შემოგვწყრნენ, აბა დაფიქრდი, მარსზე თუ ამერიკა გვერდით გვეყოლება, ნატო მაშინ ვიღას ტიკი-ტომარა იქნება? არც ევროკავშირთან გვექნება სახვეწარი, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ მარსიდან მილიონობით კილომეტრზე ევროპის ქვეყნებში ჩვენი პროდუქციის ექსპორტი საერთოდ შეუძლებელი იქნება.

— ეგრე რა, ძმაო, — გავუწოდე ხელი პოლიტოლოგს, — ამდენი ზღაპრების შემდეგ, რომელსაც მეზღაპრე მთავრობები გვთავაზობდნენ, როგორც იქნა, გამოჩნდა რეალური პროექტი, რომელიც დასაღუპად განწირულ საქართველოს რეალურად გადაარჩენს(!).

ᲝᲗᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

◎ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ

ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ?

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ იძულებით გადაადგილებულთა ერთი ჯგუფი, რომელსაც გარკვეული კონტაქტები აქვს ენგურს იქით დარჩენილ თანამემამულეებთან (ყოველ შემთხვევაში იქ მცხოვრებ მცირერიცხოვან ქართველებსა და აფხაზებს ისინი ასეთად მიიჩნევენ), ამბობენ: თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას სერიოზული პოლიტიკური კრიზისი ემუქრება, მზადდება რაღაც შეთქმულების მსგავსი მოქმედ პრეზიდენტ ანქვაბისა და მისი გუნდის წინააღმდეგ.

რუსეთის მიერ აღიარებულ სეპარატისტთა რეჟიმის როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში ვერ იტანენ სამართლიან კრიტიკას, ღიზიანდებიან. თუმცა, უკვე მსხვერპლიან ტერაქტებს ერიდებიან. აწყობენ სხვადასხვა დასაშინებელ ღონისძიებებს — ამბობს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილი შსს-ს ყოფილი ოპერატიული სამსახურის თანამშრომელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი თამაზ ალანია. მას ამის მაგალითად მოჰყავს ცოტა ხნის წინათ ოპოზიციური გაზეთის „ნუჟნაია გაზეტას“ რედაქტორის მანქანის აფეთქების ფაქტი. მართალია, შემთხვევიდან 2 თვემდეა გასული, მაგრამ ალანიას ინფორმაციით არა თუ გამოძიება არ დაწყებულა, სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღძრულა.

აფხაზური მხარის სანდო წყაროზე დაყრდნობით იგი აცხადებს, რომ რამდენიმე დღის წინათ იგეგმებოდა თვითმარქვია სახელმწიფოს ლიდერის ალექსანდრე ანქვაბის ე. წ. პარლამენტის სხდომაზე წლიური ანგარიშით გამოსვლა, მაგრამ დეპუტატთა დიდი ნაწილი, ბოიკოტის ნიშნად, სხდომაზე არ მივიდა და კვორუმის შეუგროვებლობისა და მოსმენის ჩაშლის საფრთხე შეიქმნა.

ალანია საინფორმაციო სააგენტო „ეხო კავკასიაზე“ დაყრდნობით იმასაც ამტკიცებს, რომ სეპარატისტული ე. წ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს 35 წევრიდან სხდომაზე მივიდა 17 დეპუტატი, მიუსვლელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა — 18 პარლამენტარი, ანქვაბისა და მისი მომხრეების ოპოზიციონერები იყვნენ.

სეპარატისტთა ლიდერი მთელი 50 წუთი ჰოლში ელოდა დეპუტატებს, თუნდაც ერთს. ამ დროს ანქვაბის მომხრე დეპუტატები და მისი აპარატის თანამშრომლები „ბოიკოტშიკებს“ ურეკავდნენ, თხოვდნენ, აშინებდნენ (ძირითადად რუსეთის უკმაყოფილებითა და საქართველოსთან გარიგების ბრალდებით), მაგრამ უშედეგოდ. ყოველივემ გასჭრა მხოლოდ დეპუტატ ავიძბაზე. მისი გამოჩენისთანავე კვორუმი შეიკრიბა და ანქვაბს სიტყვით გამოსვლის საშუალებაც მიეცა — ჰყვება ალანია.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ინფორმაციის გარდა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ყოფილი შსს-ს თანამშრომელი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების უგუნური შიდა და მათი შსს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ხისტი პოლიტიკის შედეგად ერთი ხელის მოსმით გააუქმეს აფხაზეთიდან დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების რაიონული შს სტრუქტურები. უმუშევრად დარჩენილთა, მათ ოჯახებზე, დასაქმებაზე არავის უზრუნია. რაც მთავარია „ნაციონალებმა“ შეგნებულად თუ შეუგნებლად გადადგეს წინდაუხედავი ნაბიჯი, როდესაც აფხაზეთის შს ორგანოებმა სიცოცხლის ფასად (ბევრმა ქონების ნაცვლად) რაიგანყოფილებიდან წამოღებული ოპერატიული მასალები, ლიტერული საქმეები და ა. შ. სრულიად უკონტროლოდ დატოვეს. დოკუმენტაცია აიბნა. არადა იქ იყო ასეულობით ოპერატიული მასალა შავი სამყაროს წარმომადგენლებზე, სასჯელმოხდილებზე, „შავი სამყაროს“ წევრობისადმი მიდრეკილების მქონეებზე, გაუშიფრავ აგენტურულ ქსელზე და ა. შ. რამაც ერთი პერიოდი გაზარდა კრიმინალური შემთხვევების გახსნის ფაქტები.

ამ, შეიძლება ითქვას, ქვეყნისათვის საზიანო ქმედებებს, მიაყოლეს შსს-ს შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონის გაუქმება. ეს სამხედრო შენაერთი მთლიანად აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთაგან იყო დაკომპლექტებული. შევარდნაძის დროს ტყიბულის ბატალიონი შეიქმნა იმისათვის, რომ იქ დაესაქმებინათ აფხაზეთიდან გამოსული ბრძოლის მონაწილეები, მათ ჰქონოდათ მართალია მიზერული, მაგრამ ხელფასები, ომის მონაწილეთათვის დაწესებული გარკვეული შეღავათები. და რაც მთავარია, ხაზს უსვამს ალანია, აფხაზეთიდან დევნილთ მართალია ჰქონდათ მძიმე სოციალური პირობები, მაგრამ მათ ამის გადატანის შესაძლებლობა ოჯახის წევრებთან ერთად ეძლეოდათ.

ჩვენთან მოსაუბრე ამბობს, რომ საკაშვილ-ოქრუაშვილის ტანდემმა ერთ დღეში გადაწყვიტა ლეგიტიმური ხელისუფლების შსს-ს ბედი, სამინისტრო ერთ დღეში გააუქმეს, ისე რომ უმუშევრად დარჩენილთა ბედზე არავის უზრუნია. თამაშგარეშე დარჩა ათობით პროფესიონალი, დიდი გამოცდილების მქონე პოლიციელი. სააკაშვილის ხელისუფლებამ სამინისტროს ნაცვლად შექმნა 25-კაციანი სამმართველო და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტად მიაჩნია ალანიას, ისაა, რომ ახალი კონტინგენტი, განსაკუთრებით მისი მმართველობა, დაკომპლექტდა ისეთი პიროვნებებით, თვალითაც რომ არ უნახიათ აფხაზეთი, არა ამ კუთხის წარმომადგენლებით. ცხადია, რაიმე ოპერატიულ ინფორმაციებსა და ა. შ. ლაპარაკიც ზედმეტია — ამბობს თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.

იგი მიიჩნევს, რომ თავის დროზე წინა ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა მრავალი გამოუყენებელი შესაძლებლობა აფხაზეთის საკითხებში პოლიციელთა გამოყენებისა (პირადი კონტაქტები, ინფორმაციები და ა. შ.) ალანიას იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება წინამორბედების შეცდომებს არ გაიმეორებს და ხალხს, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება მოსახლეობასთან ურთიერთობისა, აქვს პირადი კონტაქტები (ზოგჯერ ნათესაურიც კი), გამოიყენებს ქვეყნის მთლიანობის სასიკეთოდ, სახალხო დიპლომატიაში ჩასართავად და არა ტერაქტებსა და სხვა უბედურებებში „ნაციონალების“ მსგავსად. ამისთვის მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო, მიაჩნია თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს თამაზ ალანიას.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲕᲔ

◎ დაჯილდოება

სამინისტრომ საუკეთესოები დაასახელა

საძართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ტრადიციულად, სეზონის რჩეულები დაასახელა – 2013 წლის შედეგებით საუკეთესოები 10 ნომინაციაში გამოავლინა და დააჯილდოვა.

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი – 20-წლიანთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ასევე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, 19 წლის ფალავანი გენო პეტრიაშვილი (მძიმე წონა) დაასახელეს (მის გარდა, ნომინანტები იყვნენ –ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის პირველობების გამარჯვებული ბექა ღვინიაშვილი და ფარიკაობაში ევროპის ოქროსმედალოსანი სანდრო ბაზაძე).

საუკეთესო პარალიმპელი – მკლავჭიდში მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ბესიკ ლეკიაშვილი.

არაოლიმპიურ სახეობებში – სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი ვახტანგ ჩიდრაშვილი.

საუკეთესო მსაჯი – ძიუდოში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვლადიმერ ნუცუბიძე.

სპორტულ ფედერაციებში საუკეთესო – ხელბურთის ეროვნული ფედერაცია.

წლის გუნდი – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები.

საუკეთესო მწვრთნელი – ძიუდოისტთა ნაკრების მესაჭე ირაკლი უზნაძე.

საუკეთესო სპორტსმენი ქალი – კადეტებში ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პირველობისა და ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის პრიზიორი, 17 წლის ძიუდოისტი მარიამ ჯანაშვილი.

წლის საუკეთესო სპორტსმენი – პირად პირველობაში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, გუნდურში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო, 81 კგ), რომელმაც თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონ დავით მარსაგიშვილსა და მორაგბე მამუკა გორგოძეს აჯობა.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ: წლის აღმოჩენა – საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები, რომელმაც 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან პლეი ოფში გააღწია, ასევე, პროექტი – „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

მერვე ჩემპიონიც გამოავლინეს

წლეების განმავლობაში თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 7-7 წონით კატეგორიაში ვლინდებოდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების, ასევე, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამიერიდან, ოლიმპიადებზე 6 (57, 65, 74, 86, 97 და 125), დანარჩენ შეჯიბრებებში კი მედლების 8-8 კომპლექტი (57, 61, 65, 70, 74, 86, 98 და 125) გათამაშდება. ამას წინათ საქართველოს ჩემპიონატზე, ტრადიციულად, შვიდი ფალავანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ხოლო ნაკრების მერვე წევრის შესარჩევად თბილისის ფალავანთა კლუბში 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორები. ქვეყნის ჩემპიონობისთვის 15 ფალავანი იბრძოდა. ნახევარფინალში ქუთაისელმა გიორგი ცუცქირიძემ ყვარლელ ზურაბ იაკობაშვილს აჯობა, ხოლო ბოლნისელმა დიმიტრი ბასილაშვილმა ხონელი დათო ეზეიშვილი დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში ბასილაშვილმა ცუცქირიძეს აჯობა, ზურაბ იაკობაშვილი და საგარეჯოელი თორნიკე როსტიაშვილი ბრინჯაოებს დასჯერდნენ.

გივი გაგუა

სურათზე: გამარჯვებული და პრიზიორები შეჯიბრების ორგანიზატორებთან ერთად.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ფარიკაობა

მალხაზ ადეიშვილის ხსოვნისა

თბილისის ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა საქართველოს მოხმალავეთა ტურნირი ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის, ტრაგიკულად დაღუპული მოფარიკავის – მალხაზ ადეიშვილის თასზე. ნახევარფინალში 23-წლამდელთა შორის ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა ბექა ბაზაძემ უმცროსი ძმა – 20-წლიანებში ევროპის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე (ორივე – ქუთაისი) დაამარცხა – 15:14, ხოლო თბილისელმა საბა სულამანიძემ დავით უკლებას (ქუთაისი) აჯობა – 15:4. გადამწყვეტ პაექრობაში ბექა ბაზაძემ სულამანიძეს 15:9 სძლია და მთავარი პრიზი მოიპოვა.

* * *

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი არჩილ გოგელია) 2013 წლის შედეგებით საუკეთესო მოფარიკავედ 20-წლამდელ მოხმალავეთა წლევანდელი ევროპის ჩემპიონი, 2013 წლის მსოფლიოს თასების მეორე და მესამე პრიზიორი, თანატოლებში მსოფლიო რეიტინგით ამჟამად მეორე პოზიციაზე მყოფი სანდრო ბაზაძე დაასახელა. მწვრთნელებში ნაკრების თავკაცი მერაბ ბაზაძე, ხოლო ახალგაზრდა მწვრთნელებში ქეთევან ერემეიშვილი და ირაკლი ღაღანიძე გამოარჩიეს. ასევე, საუკეთესოდ იმერეთის ფარიკაობის რეგიონული ფედერაცია (პრეზიდენტი ლევან კირკიტაძე) აღიარეს.

ლაშა დიდია

სურათებზე: ფინალისტები – ბექა ბაზაძე(მარჯვნივ) და საბა სულამანიძე; არჩილ გოგელია აჯილდოებს სანდრო ბაზაძეს.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ასე იყო, ასე არის...

ეს ფეხბურთის საშობლოა!

ნისლიან ალბიონზე გრძელდება საფეხბურთო სიგიჟე – რის შობა, რა ახალი წელი – ეს ხომ ინგლისია!

ჩვენ უკვე გაუწყეთ 26 დეკემბერს გამართული პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრათა შედეგები. კუნძულელებმა მხოლოდ ერთი დღე დაისვენეს და ისევ ააგუგუნეს იქაური ტრიბუნები. მაშ ასე: „ჩელსი“ – „ლივერპული“ 2:1, „ნიუკასლი“ – „არსენალი“ 0:1, „სიტი“ – „კრისტალ პალასი“ 1:0, „ნორვიჩი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ტოტენჰემი“ – „სტოკი“ 3:0.

ლიდერთა ჯგუფი: „არსენალი“ – 42, „სიტი“ – 41, „ჩელსი“ – 40, „ლივერპული“, „მანჩესტერი“ – 36-36 ქულა.

1 იანვრისთვის(!) დანიშნული მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მანჩესტერისა“ და „ტოტენჰემის“ დუელი.

გიორგი შოთაძე

◎ შარო, საიდან მოდიხარ?!

შუმახერი თხილამურობისას დაშავდა

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, 44 წლის მიხაელ შუმახერი სამთო თხილამურობისას მომხდარი ინციდენტისას დაშავდა. შემთხვევა საფრანგეთის ალპებში, სამთო კურორტ მერიბელში მოხდა, რის შემდეგაც ის ვერტმფრენით ქალაქ გრენობლის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

მთის ფერდობზე დაშვებისას, შუმახერს შეცდომა დაუშვია და დაცემულა, რის შემდეგაც ქვის ლოდს დაჯახებია. ინციდენტის შედეგად გერმანელმა მრბოლმა თავის დაზიანება მიიღო. ზოგიერთმა გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს მისი მდგომარეობა სერიოზულია, თუმცა მოგვიანებით ექიმებმა ეს არ დაადასტურეს.

მერიბელის სამთო კურორტის დირექტორმა კრისტოფ ჟერნინონ-ლეკონტმა განაცხადა: „მას ინციდენტი 11:07-ზე შეემთხვა, როცა ტრასას გასცდა. მას ჩაფხუტი იცავდა და ლოდთან შეჯახებისას მან დაიცვა. სამაშველო ჯგუფი მაშინვე მივიდა ადგილზე, რის შემდეგაც, დაზარალებული ვერტმფრენით გადაიყვანეს მუტიერის ჰოსპიტალში. ის შოკირებული იყო, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. შესაძლოა, ადგილი გვქონდეს ტვინის შერყევასთან, მაგრამ სერიოზული არაფერია“.

მართალია, ინციდენტის შემდეგ და ჰოსპიტალში გადაყვანისას მიხაელ შუმახერი გონზე იყო, მაგრამ მოგვიანებით მისი მდგომარეობა დამძიმდა, რის გამოც გრენობლის ჰოსპიტალში თავის ტვინზე სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების განცხადებით, ფ1-ის შვიდგზის ჩემპიონის მდგომარეობა კრიტიკულია და ის კომაში იმყოფება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კარამბეები ცხოვრებით ტკბებიან

რა ხანია, რაც ფრანგი ფეხბურთელი კრისტიან კარამბე დიდ ფეხბურთს ჩამოშორდა, მაგრამ მისი შავტუხა სიფათი გალების ქვეყნის არაერთ ჟურნალში ძველებურად იბეჭდება. კრისტიანის პოპულარობას ამჯერად მისი ულამაზესი ცოლი ადრიანა კარამბე განაპირობებს.

ცოტა ხნის წინათ ვწერდით, რომ ერთ-ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა კრისტიანი და ადრიანა ყველაზე შეუფერებელ წყვილად დაასახელა. ეს არცთუ სასურველი აღიარება კარამბეებს ნაკლებად აღიზიანებთ და მიუხედავად სხვადასხვაგვარი ჭორებისა, უკვე 15 წელია ცოლ-ქმარი არიან.

როგორც ფრანგული მედია იუწყება, უკანასკნელ პერიოდში კრისტიანი და ადრიანა ძირითადად მოგზაურობითა და გართობით არიან დაკავებულნი და არც თამამი ფოტოსურათების ერთად გადაღებაზე ამბობენ უარს....

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ორი საახალწლო სათრეველა

შემოდგომის ბუზები

ვანოს — ნაცთა თემიდან
პასუხს რომ სთხოვს თემიდა,
„ცოცხოსანთა“ თემითა
განსასჯელად უზის ის;
ენაგატლეკილები
გიგი და ტიკინები
ამიტომ იკბინებით
შემოდგომის ბუზივით.

კანიბალების ალი-ბალია

ცილისწამებით, ჩირქის
მოცხებით
შემოესია ჩვენს ხალხს
„ცოცხებით“
ნაცმაცუნების ყველა ფრაქცია,
ვინც საახალწლო ფარსად აქცია
დემონ-კრატების
დემონ-სტრაცია
და საპროტესტო მარშის აქცია.

აუ, რამდენი კანიბალია?!
არადა, ნაცებს რა იღბალი აქვთ,
რომ სჯერათ მიხოს ალი-ბალია?

ალექსანდრე შენგელია

ხსოვნა

ნიკო ჩხაიძე

დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ. აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანაში გარდაიცვალა ნიჭიერი ქართველი მეცნიერი, ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ნიკო ჩხაიძე**.

შეწყდა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის სიცოცხლე, რომელიც მაღალი ზნეობით, მოქალაქეობრივი პრინციპებით, განსაკუთრებული კეთილშობილებითა და შეუბღალავი ავტორიტეტით გამოირჩეოდა. ნიკო ჩხაიძის ბიოგრაფია მშობლიური უნივერსიტეტის, ქვეყნის და ხალხის, საქართველოს თავდადებული პატრიოტი ქართველი კაცის სახელოვანი ბიოგრაფიაა.



იგი დაიბადა 1944 წელს ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშში, სამედიცინო დარგის ცნობილი მოღვაწის ზევარ ჩხაიძის ოჯახში. 1961 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1966 წელს და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. იგი აქტიურად ჩაება ქვეყანაში მიმდინარე ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის პროცესში. ამ მიმართულებით მეცნიერული ცოდნის გაღრმავების მიზნით იგი 1971 წელს ჩაირიცხა ქ. სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ქ. ლენინგრადის) ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით „გამოთვლითი ტექნიკა“.

1974-1977 წლებში მუშაობდა ქ. ლენინგრადის ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ უბნის ინჟინრად და შემდეგ-ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1977 წელს ნიკო ჩხაიძე დაბრუნდა სამშობლოში და ამ პერიოდიდან მოყოლებული მთელი თავისი პროფესიული საქმიანობა დაუკავშირა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც ერთგულად იღვაწა სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე და განვლო უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებით დატვირთული ცხოვრებისეული გზა. 1980 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1981 წელს იგი „გამოთვლითი ტექნიკის“ კათედრის დოცენტის თანამდებობაზე იქნა არჩეული.

ნიკო ჩხაიძის ლექციები, რომელთაც იგი გამოთვლითი ტექნიკის ფუნდამენტურ დისციპლინებში მაღალპროფესიულ დონეზე კითხულობდა, სტუდენტთა და სპეციალისტთა საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა. ბატონი ნიკო სასწავლო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ნიჭიერი სტუდენტების აქტიურად ჩაბმას. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალრიცხოვან სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს. ეს პერიოდი ნიკო ჩხაიძის ნათელი ბიოგრაფიის გამორჩეული პერიოდია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე პოზიციებზე გავიდა, რაშიც ნიკო ჩხაიძის წვლილი განსაკუთრებული იყო. 1993 წლიდან იგი გადაყვანილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად. პარალელურად გახლდათ ინფორმატიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი. სწორედ ამ მიმართულებით მოღვაწეობის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გამოჩნდა ბატონი ნიკოს, როგორც მეცნიერი ორგანიზატორის მრავალმხრივი ნიჭი და უნარი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება თქვას , რომ ამ წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სინამდვილეში არ ჩატარებულა არცერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ნიკო ჩხაიძის აქტიური მოღვაწეობის გარეშე. 1995 წლიდან ნიკო ჩხაიძე წლების განმავლობაში უცხოელ სტუდენტებთან და ასპირანტებთან მუშაობის ფაკულტეტის დეკანი იყო.

1996 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ბატონ ნიკო ჩხაიძეს გამოთვლითი ტექნიკის კათედრის პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა, რაც მისი მოღვაწეობის აღიარება გახლდათ.

პროფესორი ნიკო ჩხაიძე 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორისაა მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. იგი მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმების მუშაობაში მონაწილეობდა. მის სამეცნიერო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილად წევრად და აქტიურად მონაწილეობდა ინფორმატიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის პროცესების განყოფილების საქმიანობაში.

პროფესორი ნიკო ჩხაიძე მიეკუთვნება უმაღლესი განათლების იმ გამორჩეულ მოღვაწეთა რიცხვს, ვინც თავისი ცხოვრების ბოლო წლები მთლიანად მიუძღვნა მშობლიურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ავტომატიზაციისა და მართვის უახლესი მეთოდების დანერგვას. იგი გახლდათ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუ-ს სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.

ბატონი ნიკო გახლდათ ჩინებული მეუღლე, მამა და ბაბუა. თავისი ქრისტიანული ცხოვრების წესით სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის. იგი ზეციურ საქართველოში შეუერთდება მის დიდ მასწავლებლებს ივერი ფრანგიშვილს, ნიკოლოზ გაბაშვილს, ნიკოლოზ ჩხატარაშვილს, სიყრმის და სტუდენტობის უახლოეს მეგობრებს ჟიული შარტავას, იუზა ვერულავას...წავიდა ჩვენგან ღირსეული მამულიშვილი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნიკო ჩხაიძის სული, ვალმოხდილი მშობლიური ქვეყნის, ერისა და საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები იანვარში

იანვარში **გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1,2, 5, 7-9, 15,16,20, 23-26, 29-31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიების ზრდა, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

1 — ახალი მთვარე, მთვარის შეერთება პლუტონთან და მერკურისთან. დიდია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების ალბათობა, ტკივილების გაჩენა ზურგში, მუხლებში, ხელისა და ფეხების სახსრებში. არ არის გამორიცხული შარდსადენ და სასქესო ორგანოების დაავადებათა გაჩენა. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, იყავით ფრთხილად მოგზაურობის დროს ტრანსპორტში. სასურველია მშვიდი ვითარება, დადებითი განწყობილება, ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვების უქონლობა, უარყოფითი ემოციები.

2 — მთვარე-ვენერას შეერთება. არ არის გამორიცხული ენდოკრინული დარღვევები, თირკმელების დაავადებები, კვებითი მოწამვლა, ოსტეოქონდროზის გამწვავება, რევმატიზმი, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. შესაძლებელია ალერგიის გაძლიერება და კანის დაავადებანი უხარისხო კოსმეტიკური საშუალებების გამოყენების დროს. ერიდეთ მოტეხვებს, მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს, გაცივებას, ვადაგადასულ პროდუქტებს, ზედმეტ ჭამას, გაუფრთხილდით ყელს, ნუ გადატვირთავთ ხმის იოგებს.

5 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება. შესაძლებელია მხედველობისა და სმენის დასუსტება, იმუნური სისტემის მუშაობის დარღვევა, ინფექციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის დაქვეითება, ფსიქიკურ დაავადებათა გაძლიერება, ტკივილები ტერფებში. ერიდეთ ინფექციურ დაავადებებს, მიეცით დასვენების საშუალება თვალებს, ნუ გადატვირთავთ ფეხებს, ასევე ღვიძლს. ყურადღებით იყავით საზოგადოებრივ ადგილებში — არ არის გამორიცხული ტრავმები, ქურდობა და მოტყუება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ყავასა და ალკოჰოლზე, სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, ვარჯიშები თვალებისთვის.

8 — მთვარის პირველი მეოთხედი, ვენერა-მერკურის შეერთება, მთვარის დაძაბული ასპექტები. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია თავის ტკივილი, უძილობა, შეიძლება გამწვავდეს თავის, სახის, თვალების, სმენის ორგანოების დაავადებანი. მავნებელია აღმგზნები საშუალებები, მოწევა, ყავა, შოკოლადი, ალკოჰოლი, ცხიმიანი საკვები, გადაღლილობა და სტრესეტი.



15 — მთვარე-იუპიტერის შეერთება. შეიძლება გაჩნდეს პრობლემები ღვიძლთან, მკერდის ჯირკვლებთან და კუჭთან. არ არის სასურველი გაციება, ძლიერი ბიოქიმიური პრეპარატები, სპირტიანი სასმელები. მძიმე და ცხიმიანმა საკვებმა შეიძლება ღვიძლი გადატვირთოს. ხელსაყრელი დროა საოჯახო საქმეებისთვის, სახლის კეთილმოწყობისთვის, დასვენებისა და ურთიერთობებისთვის.

16 — სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ გული, ზურგი, სისხლის მიმოქცევის სისტემა. აუცილებელია გამოვრიცხოთ ძლიერი ფიზიკური და ნერვული დატვირთვები გულზე. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება, სრულფასოვანი ძილი, თამაში ბავშვებთან, შემოქმედება.

23 — მთვარე-მარსის შეერთება. შესაძლებელია პრობლემები თირკმელებთან, სისხლძარღვთან, შარდის ბუშტთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, უძილობა და რადიკულიტი. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ცხარე და მლაშე კერძებზე, გამოვრიცხოთ ალკოჰოლი, ვსვათ სუფთა წყალი, გაციებისგან დავიცვათ მენჯის მიდამოები.

24 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. გაცვლითი პროცესები ორგანიზმში იწყებენ შენელებას, მწვავდება ქრონიკული დაავადებანი, შეიძლება გაჩნდეს მოდუნება, პასიურობა, ძილისადმი მიდრეკილება. საალბათოა სასქესო, შარდსადენი ორგანოების, სწორი ნაწლავის დაავადებანი. რეკომენდებულია ვერიდოთ გაციებას, ინფექციებს, ცხიმიან და ცხარე საკვებს, ტრავმატიზმს.

25 — მთვარე-სატურნის შეერთება. შესაძლებელია ანთებითინფექციური ხასიათის დაავადებანი, ტკივილები ხერხემალში, ძვლებსა და სახსრებში, რევმატიზმის, ართროზის, შარდსადენ-სასქესო სფეროს დაავადებათა გამწვავება. აუცილებელია ვერიდოთ გაციებას, სიმძიმეების აწევას, ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვებს სახსრებსა და ხერხემალზე. ტანი უნდა გვქონდეს სითბოში, ვატაროთ ბამბეულისა და აბრეშუმის ტანსაცმელი, ეცადეთ იყოთ ტონუსში, ერიდეთ ტრავმატიზმს.

29 — მთვარის შეერთება პლუტონთან და ვენერასთან. საალბათოა საყრდენ-მოძრაობის აპარატის დაავადებანი, ემოციურ-ფსიქიკური დარღვევები, ენდოკრინული და სექსუალური მოშლილობა. სასარგებლოა გაჯანსაღების პროცედურები, კანის მოვლა, ტანვარჯიში.

31— სრული მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, დაქვეითებულია შრომისუნარიანობა. არ არის რეკომენდებული გადავლალოთ ნერვული სისტემა. ხელსაყრელი დროა ინტელექტუალური საქმიანობისთვის, შემოქმედებისა და დასვენებისთვის.



საზოგადოება „ზუგდიდელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მკურნალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამორჩეული პიროვნული და საქმიანი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, შესანიშნავი მოქალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი, უღალატო მეგობარი, საუცხოო ოჯახის დიდებული თავკაცი

ავთანდილ თურქია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მის დიდ სამეგობროს.

ოთარ ჭითანავა და ჯემალ კვირტია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი

ავთანდილ თურქია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და სამეგობროს.

ფრიდონ ინჯია, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, ჯუმბერ თოდუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ ზევარის ძე ჩხაიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ფრიდონ ინჯია, ქეთევან რუხაია, ილია ინჯია, ხათუნა ინჯია, კახა კოტრიკაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის,

ნიკოლოზ ზევარის ძე ჩხაიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს.

2014 წლის ჰოროსკოპი

ვინ მოვა

დამდგარი წელი იქნება ლურჯი ხის ცხენის ნიშნით. წლის ბატონ-პატრონი კეთილგანწყობილებით იქნება მშრომელებისადმი, ასე რომ, ნუ გექნებათ იმედი, რომ 2014 წელს მიაღწევთ წარმატებებს მხოლოდ იღბლით, მოგიწევთ ძალისხმევის დახარჯვაც.

ცხენს არ უყვარს სიცრუე და ცბიერება. ეცადეთ, ყველაფერს მიაღწიოთ პატიოსანი გზით. ნუ იზარმაცებთ — ძლიერი ცხენი პატივს სცემს მოძრაობას და სიჩქარეს, ამიტომ, იგი აუცილებლად გადაუხდის მადლობას მათ, ვისაც უყვარს მოგზაურობა და მისდევს სპორტს.

რა დავდოთ მაგიდაზე

როგორც ცნობილია, ცხენი ვეგეტარიანელია, ასე რომ, მას აუცილებლად მოეწონება სხვადასხვა მწვანე სალათები. საერთოდ, რაც მეტი იქნება მწვანილი თქვენს მაგიდაზე, მით უკეთესი.

კარგია, თუ მომავალ წელიწადს გაუმასპინძლდებით დიასახლისს ვაშლით, ნამცხვრით ან ღვეზელით, ვაშლის პეროგით. ვაშლი ხომ ცხენებისთვის ტრადიციულ საყვარელ საკვებად ითვლება.

დესერტის სახით კარგი იქნება შვრიის ნამცხვარი, იგი შეიძლება მოვამზადოთ დამოუკიდებლად,

შეიძლება მხოლოდ ვიყიდოთ წითელი ფერისა — ვარსკვლავების, ნაძვის ხის ან ცხენის ფიგურის სახითაც კი. ყურადღება მიაქციეთ, რომ ახალი წლისთვის ნაყიდი პური იყოს ძალიან ახალი, ცხენს არ უყვარს მაგარი ქერქი, აი არომატული თბილი გული აუცილებლად მოეწონება.

დიასახლისი შეიძლება წავახალისოთ ძველი აღმოსავლური წეს-ჩვეულებით. ჩინეთსა და იაპონიაში მიღებულია ცხენის წელიწადს შეხვდნენ თეფშით მასზე წამოზრდილი შვრიით. შვრიის ჭამა არ არის სავალდებულო, კერძი შეიძლება გამოგვადგეს, როგორც მაგიდის მორთულობა. მაგრამ არ დაივიწყოთ ბალახს ზევიდან დაადოთ წითელი ბაბთა, რათა მოვთოკოთ თავნება ცხენი.

რა ჩავიცვათ

ლურჯი ცხენის ახალ წელს უმჯობესია, შევხვდეთ ყვავილებით დიასახლისებისთვის. გამოდგება ლურჯი, ცისფერი, იისფერი ყველა ყვავილი. ცხენს მოეწონება ნაცრისფერი და მწვანე ფერი. აი წითელი, ნარინჯისფერი, ბორდოსფერი და ყვითელი ფერები ტანსაცმელში, უმჯობესია, არ გვქონდეს.

ცხენის მოკაზმულობისთვის მისაღებია ყველაფერი ნატურალური. მას არ უყვარს ბიჟუტერია, უპირატესობას ანიჭებს ნატურალურ ქვებსა და ძვირფას ლითონებს. ერთადერთი გამონაკლისია

ხის მძივები, აღმოსავლეთში ლურჯი ფერი ხომ ხეს განასახიერებს.

როგორ მოვრთოთ სახლი

მეტი ოქრო და სიკაშკაშე! ცხენი შეაფასებს ზილ-პიპილოებსაც, მკვეთრ სათამაშოებსაც, მაგრამ უმჯობესია, ბრწყინვალება უფრო მეტი იყოს, ვიდრე შუქი. ნუ დაივიწყებთ ბრჭყვიალა გირლიანდებსაც ნათურებისგან! და იზრუნეთ იმისთვის, რომ თქვენს საცხოვრებელში იყოს ადგილი ნალისთვისაც — ეს ახალი წლის მთავარი ამულეტია.

რა ვაჩუქოთ

ცხენი ერთ-ერთი ყველაზე გონიერი ცხოველია. ამიტომ იგი დიდ შეფასებას მისცემს ნაჩუქარ წიგნებსა და თავსატეხებს. მაგრამ, ამასთან ერთად, ცხენებისთვის დამახასიათებელია პრაქტიკულობაც. მას აუცილებლად მოეწონება ყველანაირი „საჭირო ნივთები“ — ხელთათმანები, ჭურჭელი, თბილი პლედი — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც თქვენ ყოველდღიურად სარგებლობთ. აი, უნაყოფო საჩუქრები, პატარა ქანდაკებები, სანთლები და ა.შ. — ცხენს არ უყვარს. მისთვის ეს ზედმეტი ტვირთია.

რას ველოდოთ

ვერძისთვის — წარმატებული, მაგრამ მომღლელი წელიწადია. გამოყავით დრო დასვენებისთვის.

ხარი — შესაძლებელია ფინანსური დანაკარგები. ფრთხილად იყავით ფულთან.

ტყუპები — თქვენ კარიერული ზრდა გელოდებათ. ნუ გაუშვებთ შანს ხელიდან.

კიბო — ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ნუ გექნებათ ბედის იმედი!

ლომი — არის დიდი შანსი შეხვდეთ თქვენს სიყვარულს.

ძალწული — ნუ დაისახავთ ზეამოცანას. იგი უკეთესია გადავდოთ კიდევ ერთი წლით.

სასწორი — ნუ ელოდებით სერიოზულ ცვლილებებს, წელი მშვიდი იქნება.

კირჩხიბი — თქვენ გაქვთ ყველა შანსი, გაიჭრეთ წინ და მოახდინოთ ყველაზე თამამი გეგმების რეალიზება.

მშვილდოსანი — შესაძლებელია, ამ წელმა სამუდამოდ შეცვალოს თქვენი ცხოვრება. მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

თხის რძა — წელი იქნება მეტად წარმატებული. დრო იმისთვის, რომ შეასრულოთ ყველა ჩანაფიქრი.

მერწყული — წარმატებული წელია საფინანსო თვალსაზრისით. თქვენ დიდი შენაძენები გელოდებათ.

თევზები — ენერგია მოჭარბებული გექნებათ. თქვენ გელოდებათ სიმდიდრე და წარმატებები საქმეებში.

ჩვენი პრესდაივზესტი

ყველაზე სასურველი მეკვლეები

მეკვლეობის ტრადიცია საქართველოში ოდითგანვე არსებობდა და მას საკრალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდნენ. ქართული ტრადიციის მიხედვით მომავალი წლის ავკარგიანობა პირველ სტუმარზეა დამოკიდებული.

„რეზონანსი“ იმის დადგენას შეეცადა, დღევანდელი პოლიტიკოსებიდან ვის მიიჩნევენ ყველაზე ფეხბედნიერად თბილისელები. ამისთვის, დედაქალაქის მასშტაბით სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც 250-მდე რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მეკვლედ ყველაზე სასურველ პოლიტიკოსთა ათეული ასე გამოიყურება: ირაკლი ღარიბაშვილი — 17, კახა კალაძე — 22, ირაკლი ალასანია — 17, დავით ბაქრაძე — 16, შალვა ნათელაშვილი — 14, გიორგი მარგველაშვილი— 6, დავით უსუფაშვილი — 5, დავით სერგეენკო — 3, სოზარ სუბარი — 2, ნინო ბურჯანაძე — 2.

„რეზონანსი“

ინტერვიუ სულხან მოლაშვილთან

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საქართველოში მიმდინარე პროცესებს საფრანგეთიდან აფასებს და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არის მოსალოდნელი. „მერაბიშვილის ბოლოდროინდელი გაშმაგება და ნაციონალების თავდასხმები პროკურატურაზე უკავშირდება იმას, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე მალე გაიხსნება“, — ამბობს სულხან მოლაშვილი.

„ასავალ-დასავალი“

ვის მოხსნის ახალი წლის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი?

თუ ექსპერტს პოლიტიკურ საკითხებში ვალერი გელბახიანს დავუჯერებთ, ადგილობრივი არჩევნების წინ ძალიან ბევრი ცვლილება მოხდება. ეკონომიკური გუნდი ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, ამ სექტორში ბევრი ცვლილებები განხორციელდება. ასევე საკადრო ცვლილებები განხორციელდება საკადრო უწყებებში. აი, მაგალითად, რაში სჭირდება თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ირაკლი ღარიბაშვილს? არც არაფერს არ მატებს, მაგრამ ირაკლი ალასანიას, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, ეს თანამდებობა ძალიან სჭირდება. როგორც რეიტინგებმა აჩვენეს, ღარიბაშვილზე მეტი რეიტინგი ალასანიას აღმოაჩნდა, ამიტომ, ერთ-ერთი პირველი, ვისაც ღარიბაშვილი მოხსნის, ეს იქნება ირაკლი ალასანია. რაც შეეხება თეა წულუკიანს, მან თამაში დაიწყო. რაში სჭირდება ასეთი მინისტრი ღარიბაშვილს? ასევეა ხადურის საქმე, აუცილებლად შეიცვლება კულტურის მინისტრი, მის გზას აუცილებლად გაუყვება პაატა ზაქარეიშვილი...

„ძრწინკა“

„ღარიბაშვილს ჯერ არაფერი გაუფუჭებია და ეს უკვე კარგია“

— მიაჩნია აკაკი ასათიანს, — ჯერჯერობით რომ არაფერი დაუშავებია, ეს ზუსტად ვიცი და ეს არ არის ცოტა, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე. რომ არაფერი გაუფუჭებია, ეს უკვე კარგია და დანარჩენი ვნახოთ: გეტყვით, რომ იმედიანად ვარ განწყობილი, ვნახოთ, რა იქნება მომავალი წლიდან.

„ახალი თაობა“

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 2014 წლის 4 იანვარს

ცინცხალი ანეკდოტები

— ეჰ, საწყალ მიხოს სმა უყვარდა და სასმელმა შეიწირა კიდეც.

— რა, ასეთი მაგარი ალკოჰოლიკი იყო?

— არა, ღვინის მანქანა დაეტაკა.

* * *

აბრამი ვადაზე ადრე დაბრუნდა სახლში მივლინებიდან და ცოლს საწოლში მამაკაცთან წაასწრო.

— ოჰ, შენი, მოგკლავ!!!

— ჩუმად, ჩუმად, აბრამ, ეს ტურისტია და ნახევარი საწოლი მივაქირავე.

— ოჰ, შე სულელო! ამხელა ფართობზე სამის ჩასახლებაც შეიძლებოდა!

* * *

— **მოწმეს**, თქვენ ამბობთ, რომ იყავით ბრალდებულთან ერთი საათით ადრე მანამდე, სანამ იგი საკუთარ სიდედრს მოკლავდა. ხომ არ დაუტოვებია მას თქვენ-

ზე შეურაცხადი კაცის შთაბეჭდილება? — ეკითხება მოსამართლე.

— არა, ნორმალური კაცი იყო...

— როგორ გამოიყურებოდა?

— მთლად თეთრი იყო, ტუჩებზეც კი ქაფი ჰქონდა, ხელში სამართებელი ეჭირა...

— აი, ხომ ხედავთ... თქვენ კი ამბობთ... მერე რისი კეთება დაიწყო?

— პირის გაპარსვა დაიწყო.

* * *

მდიდრული ვილის მეპატრონემ გადაწყვიტა, ცოტას გავივარჯიშებო და თავის ბაღში დაიწყო რაღაცების კეთება. უცებ მის ვილასთან გაჩერდა ძალიან მაგარი მანქანა, საიდანაც კიდევ უფრო მაგარი გოგო გადმოვიდა და ვილის მეპატრონეს ეკითხება:

— რამდენს თხოულობთ ბაღის მოწესრიგებაში?

— ამ ბაღის მოვლისთვის დიასახლისი ზოგჯერ საწოლში ჩამიწვება ხოლმე... უპასუხა „მებაღემ“ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24